

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი  
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების  
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ლელა სარალიძე

იოსებ კილსული და  
კოლონელი ხალხის ბრძოლა  
რუსული ამონის შინააღმდეგ

მეომრის ბიბლიოთეკა №19

თბილისი  
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეცხრამეტე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX საუკუნეებს, საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სონდულაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნინო გიგანი  
ყდის დიზაინი: გიორგი კიკნაძე

რედაქტორი: ნარგიზ ხარაბაძე

ტექნიკური რედაქტორი: მარი ჭონიშვილი

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის  
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

პოლონეთის პირველი მარშალის, სამხედრო მინისტრისა და შეიარაღებულ ძალთა გენერალური ინსპექტორის, პოლონეთის ეროვნული გმირის – იოსებ პილსუდსკის პიროვნების სიდიადე, მის მიერ დაკავებულ თანამდებობათა ჩამონათვალით როდი განისაზღვრება. ი. პილსუდსკი იყო ის გმირი, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის დაუსრულებელ ბრძოლაში აქტიურად იყო ჩაბმული. მას წილად ხვდა ციმბირი, ციხეები და მოუხედავად მრავალი სიძნელეებისა, მოახერხა საკუთარ განზრახვათა განხორციელება. მას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა მოპოვებული გამარჯვების დასამკვიდრებლად. იოსებ პილსუდსკის პიროვნული სიდიადე და საკუთარი ქვეყნისათვის თავგანწირვა მისაბამი მაგალითია ყველა ერის მამულიშვილთათვის. ამ ეროვნული, ბუმბერაზი გმირის ბიოგრაფია არის ცოცხალი, მცირე „კონსპექტი“ მთელი პოლონეთის ისტორიისა. „სამშობლოსათვის ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო“ – ასე შეაფასა მარშალ პილსუდსკის მოღვაწეობა ქართველმა გენერალმა, ქართული სამხედრო სკოლის (1919-1921 წწ.) ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ალექსანდრე ჩხეიძემ.

იოსებ პილსუდსკი დაიბადა 1867 წლის 5 დეკემბერს, ქ. ვილნისთან\* ახლომდებარე სოფელ ჟულოკში, პატრიოტულ აზნაურულ ოჯახში. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სულ ოთხიოდე წლის წინ, 1863 წელს, ცეცხლით და მახვილით ჩახშვეს პოლონეთის უკანასკნელი შეიარაღებული აჯანყება, როდესაც ქვეყანაში რუსული „სამართლიანობის და წესრიგის“ დამყარების ქარცეცხლი მძვინვარებდა. პატარა იოსებს დედა ხშირად უკითხავდა პოლონეთის ისტორიას, უამბობდა აჯანყების, მისი დამარცხების მიზეზების შესახებ და ცდილობდა შვილებისათვის ჩაენერგა მტერთან ბძოლის გაგრძელების აუცილებლობა. ზღაპრების ნაცვლად, ბავშვები დედისაგან ისმენდნენ ისტორიებს აჯანყებულთა ნამდვილ ბრძოლებზე, მათ გმირობას და თავდადებას. ი. პილსუდსკი წერდა: „დედა ბავშვობიდან წვრთნიდა ჩვენში აზრების დამოუკიდებლობას და აღვივებდა პირადული ღირსების გრძნობებს, რომლებმაც შემდეგი სახე მიიღეს ჩემს აზროვნებაში: მხოლოდ ის კაცია ადამიანი, რომელსაც აქვს გარკვეული რწმენა და მოუხედავად შედეგისა, შეძლებს ამ რწმენის საქმედ აღიარებას“. იგი ბავშვობიდანვე გაიტაცა სამშობლოს მტრებთან შეურიგებელი ბრძოლის სურვილმა. დედის უშუალო გავლენის ქვეშ იზრდებოდა ის 7 წლამდე. მას შემდეგ, რაც სოფელში სახლი დაეწვათ, ოჯახი საცხოვრებლად ქ. ვილნიში გადასახლდა. მიუხედავად მცირე ასაკისა, ამ ქალაქში ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ი. პილსუდსკიზე, რომ ქ. ვილნი, მას ცხოვრების ბოლომდე გამორჩეულად უყვარდა. სწორედ, ამ ქალაქში შეხვდა იგი პირველად რუსებს. მშობლებმა პატარა იოსები სასწავლებლად გიმნაზიაში მიაბარეს. გიმნაზიაში ყოფნის პერიოდი, მისი გადმოცემით, ნამდვილი კატორდა იყო, რადგან მასწავლებლები ამცირებდნენ ყოველივე პოლონურს, ხშირად აბუჩად იგდებდნენ იმას, რაც მისთვის ძვირფასი და საყვარელი იყო. მეგობრებთან პოლონურ ენაზე საუბრის გამო, ის ძლივს გადაურჩა გიმნაზიიდან გარიცხვას. ჯერ კიდევ, სრულებით მოუმწიფებელი გიმნაზისტი, უკვე აჯანყებაზე ფიქრობდა. ი. პილსუდსკი დაწვრილებით გაეცნო პოლონეთის

წარსულ აჯანყებათა ისტორიას და ეძებდა მათი დამარცხების გამომწვევ მიზეზებს. ბევრს კითხულობდა საფრანგეთის რევოლუციის შესახებ და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აჯანყების გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის საჭირო იყო მთელი ერის გაერთიანება. ჯერ კიდევ სრულიდ ახალგაზრდა იოსებმა, თავის ძმა ბრონისლავთან ერთად, შექმნა საიდუმლო საზოგადოება – „კავშირი“, რომლის ყველა წევრი ეცნობოდა რევოლუციის პირველ ნაბიჯებს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ი. პილსუდსკი შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. გიმნაზიიდან კი მას შემდეგი შინაარსის მოწმობა გაატანეს: „Хотя очень способый, но рожденный бунтовщиком“ (ე. ი. „თუმცა ძლიერ ნიჭიერია, მაგრამ მეამბოხედაა დაბადებული“). ხარკოვში ი. პილსუდსკი მონაწილეობდა სტუდენტურ ორგანიზაციებში. დემონსტრაციების მოწყობისათვის სასწავლო წლის ბოლოს, სხვებთან ერთად, ადმინისტრაციული წესით გაძევებული იქნა ხარკოვიდან, ამავე დროს, ჩამოერთვა უნივერსიტეტში კვლავ სწავლის უფლება. ამრიგად, ი. პილსუდსკის, თავიდანვე გადაუკეტეს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, რაც მას საბოლოოდ დაარწმუნებს, რომ არ დარჩა სხვა გზა, გარდა ბრძოლისა. ი. პილსუდსკი დაბრუნდა ქ. ვილნოში და საფუძველი ჩაუყარა საიდუმლო კავშირს, რომლის ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. „კავშირის“ მიზანი იყო მუშების, მოხელეების და გლეხების მომზადებისა და შეგნების დონის ამაღლება, მათვის პოლონეთის იტორიისა და საერთო, იმუამინდელი მდგომარეობის გაცნობა. კავშირის წევრები მათ ფარულად ასწავლიდნენ პოლონურ ენაზე წერა-კითხვას. იმავდროულად, ი. პილსუდსკიმ დაიწყო გაზეთის გამოცემა. მის მიერ შექმნილ საიდუმლო ორგანიზაციის კავშირი ჰქონდა რუსეთის ორგანიზაციასთან – „ხალხის აზრი“, რომელიც იმ პერიოდში ამზადებდა შეთქმულებას მეფე ალექსანდრე III-ის წინააღმდეგ. რუსეთის მთავრობამ გაიგო შეთქმულების შესახებ, რასაც ქ. ვილნოს ორგანიზაციის მრავალი წევრის დაპატიმრება მოჰყვა. ასეთ პირობებში, ი. პილსუდსკის განწყობა რუსეთის მიმართ თანდათანობით იქცა ზიზღად და შურისძიების სურვილად. ჯერ კიდევ, სრულიად ახალგაზრდა სტუდენტმა, თავისი რევოლუციური მუშაობით მიიპყრო რუსეთის მმართველთა ყურადღება, რის გამოც ის ხუთი წლით ციმბირში გადაასახლეს. ციმბირში ყოფნის დროს, ი. პილსუდსკი საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამშობლოს გათავისუფლების იდეა, უნდა წამოვიდეს თვით პოლონელი ხალხის სიღრმიდან. 1887 წელს, იგი აქტიურად დაადგა იმ გზას, რომელიც ბევრმა მისმა თანამემამულებმ სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში განვლო. ყოველი დევნა, დაბრკოლება და მარცხი, სულიერად გატეხვის ნაცვლად, უფრო მეტ ენერგიასა და შეურიგებლობას იწვევდა მასში. ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ, ი. პილსუდსკი უფრო მეტი ენერგიით შეუდგა კონსპირაციულ მუშაობას და სათავეში ჩაუდგა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბრძოლო ორგანიზაციას. აღსანიშნავია, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური მუშაობის მანძილზე, მას არც ერთი წუთით მხედველობიდან არ გამოპარვია მთავარი მიზანი და არც ერთი ნაბიჯით არ დაშორებია მისკენ მიმავალ

უმოკლეს, სწორ გზას. საკუთარი მიზნების მისაღწევად, მან გადაწყვიტა გამოენახა სათანადო წრე და ამ მიზნით, მიმართა მუშებს. ამ წრეში ის შეხვდა პოლონელ სოციალისტებს, რომლებმაც პარიზის ერთ-ერთ კრებაზე, თავის მიზნად დაისახეს პოლონეთის დამოუკიდებლობის მიღწევა. ი. პილსუდსკი ენერგიულად შეუდგა მუშაობას „ამხანაგ ვიკტორის“ ფსევდონიმით. მან ამ წრეშიც მალე მოიხვეჭა სახელი. ი. პილსუდსკი აირჩიეს „პოლონეთის სოციალისტური პარტიის“ ცენტრალური კომიტეტის წევრად. მან დაიწყო საიდუმლო ბეჭდვითი ორგანო „მუშა“-ს გამოცემა, სადაც ხშირად ათავსებდა მძაფრ და ცხარე წერილებს, რომლებითაც პოლონელ ერს რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. გაზეთ „მუშა“-ს გამოცემამ რუსეთის ხელისუფალთა მრისხანება გამოიწვია. ისინი ენერგიულად შეუდგნენ გამოძიებას გაზეთის გამომცემელთა დასაპატიმრებლად, მაგრამ „ამხანაგი ვიკტორი“ (ი. პილსუდსკი, ლ.ს.) ახერხებს თავისი კვალის დაფარვას. სტამბა დროებით სხვა ქალაქში გადაიტანეს. თავიდან იგი იყო ვილნოში და საბოლოოდ გამომცემლებმა ის ქ. ლომში\* განათავსეს. გაზეთის გამოცემის საქმეს, ი. პილსუდსკი თავიდანვე დიდი ენერგიით შეუდგა. თავადვე აწყობდა ნომრებს, ბეჭდავდა და თვითონვე არიგებდა პოლონეთის სხვადასხვა მხარეში. გამოიცემოდა გაზეთის 1900 ეგზემპლარი, ასეთი რაოდენობით გაზეთის დარიგება-დაგზავნა არც ისე ადვილი იყო, მით უმეტეს, რომ გამომცემლებს ყოველ წუთში საფრთხე მოელოდათ აგენტებისაგან. გაზეთის გამოცემის საქმეში ი. პილსუდსკის დიდ დახმარებას უწევდა თავისი მეგობარი „ედმუნდი“ (ს. ვოიცეხოვსკის, პოლონეთის მეორე პრეზიდენტის ფსევდონიმი, ლ. ს.). მიუხედავად დიდი ზეწოლისა, გაზეთი „მუშა“, ექვსი წლის განმავლობაში, განუწყვეტლივ გამოდიოდა და მთელ პოლონეთში კრცელდებოდა.

1900 წლის 21 თებერვალს, დამით, პოლიციამ ი. პილსუდსკი დააპატიმრა. იგი დიდი ხნის მანძილზე ჯერ ქ. ლოძის ციხეში იმყოფებოდა, შემდეგ კი გადაიყვანეს ქ. ვარშავის ციტადელში და დაამწყვდის ე. წ. მეათე პავილიონში. აქედან ტუსალი გაჰყავდათ ან დასახვრეტად, ან კიდევ სამუდამო კატორდაში აგზავნიდნენ. მისი მეგობრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, როგორმე გაეთავისუფლებინათ პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირი. ვინაიდან მიუდგომელი ციხიდან მისი ძალით გამოყვანა შეუძლებელი იყო, მეგობრებმა საიდუმლოდ გადაუგზავნეს წერილი, რომელშიც ურჩევდნენ მას ფსიქიური ავადმყოფობის სიმულაცია გაეთამაშებინა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ იოსებს გადაიყვანდნენ საავადმყოფოში და იქედან უფრო შესაძლებელი იქნებოდა მისი დახსნა. ამ გეგმას ი. პილსუდსკი დაეთანხმა. მართლაც, მალე ექიმებმა დაადასტურეს პილსუდსკის ავადმყოფობა, ოღონდ ადმინისტრაცია ფრთხილად მოიქცა, იგი ჯერ პეტროგრადის პეტრე-პავლეს ციხეში გადაიყვანეს, უფრო მოგვიანებით კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. იმ პერიოდში, ახალგაზრდა პოლონელმა ექიმმა მაზურკევიჩმა, მოახერხა იმ საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში ექიმად მოწყობა, სადაც ი. პილსუდსკი იმყოფებოდა. 1901 წლის 13 მაისს, მაზურკევიჩმა საავადმყოფოში მორიგე ექიმი იყო, მისი ბრძანებით, იმავე საღამოს, მასთან კაბინეტში შეიყვანეს ავადმყოფი „ვიკტორი“,

საიდანაც ნახევარი საათის შემდეგ იგი, მაღალი ხარისხის ჩინოვნიკის ფორმაში, გადაცმული, ექიმის თანხლებით გამოდის. გამოსასვლელ კარებში მას ჟანდარმი მიესალმა კიდეც. გათავისუფლებისთანავე, ი. პილსუდსკი ქ. კიევისაკენ გაემართა, სადაც მისი მეგობრები აგრძელებდნენ გაზეთ „მუშა“-ს გამოცემას.

მალე მან დატოვა რუსეთი და ავსტრიაში გადავიდა. იქედან კი გაემგზავრა ქ. ლონდონში სოციალისტების ყრილობაზე, სადაც შეხვდა თავის მეგობარს ი. მოსტიცკის (შემდეგში პოლონეთის პრეზიდენტი, ლ.ს.). ყრილობის დამთავრების შემდეგ იგი ქ. კრაკოვში\* დაბრუნდა. რუსეთიდან გამოქცეული პოლონელი პატრიოტები, ამ ქალაქში ხშირად მართავდნენ კრებებს, რომელზეც ი. პილსუდსკი განუწყვეტლივ ქადაგებდა სამშობლოს გათავისუფლებისთვის ბრძოლის იდეას.

პოლონეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში, ი. პილსუდსკი თანამშრომლობას არ ერიდებოდა, არც ერთ სხვა პოლონურ პოლიტიკურ ჯგუფებთან, რადგან ამ საბრძოლო ორგანიზაციებში იგი ხედავდა, პოლონელი ერის შეიარაღებული ძალების კადრებს და მთელი მონდომებით ცდილობდა ქვეყნის განმათავისუფლებელი არმიის შექმნას. პირველი მსოფლიო ომის წინ, ი. პილსუდსკი იმყოფებოდა პოლონეთის იმ ნაწილში, რომელიც ავსტრიის მიერ იყო დაპყრობილი. აქ ის სათავეში ჩაუდგა მსროლელ მოხალისეთა ნაწილის ორგანიზაციას. იგი ყველგან საკუთარი ერის ინტერესების დასაცავად მოღვაწეობდა. იგივე მიზნით, იბრძოდა ავსტრიის ფრონტზე რუსეთის წინააღმდეგ. იმ დროისათვის, მთელი პოლონეთი მოფენილი იყო ი. პილსუდსკის მიერ შექმნილი ძლიერი კონსპირაციული სამხედრო ორგანიზაციების ქსელით, რომელიც არალეგალურად მუშაობდა. იმ პერიოდში, პოლონეთის მთელი ტერიტორია, მხოლოდ გერმანიისა და ავსტრიის ხელში იყო მოქცეული. 1918 წლის ოქტომბრის ბოლოს, დამარცხებული ავსტრია-უნგრეთი დაიშალა და პოლონეთის ერთი ნაწილი ფაქტიურად გათავისუფლდა. ნოემბრის პირველ ნახევარში, გერმანელები იძულებულნი გახდნენ ზავი ეთხოვათ ყოველგვარი პირობების მიუხედავად. თვით გერმანიაში რევოლუციის ცეცხლი მძვინვარებდა. პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციას ხელსაყრელი პირობები შეექმნა. პოლონელმა პატრიოტებმა პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფი გერმანელთა არმიის განიარაღება დაიწყეს. ამ პერიოდში, გათავისუფლებული იქნა ი. პილსუდსკიც, რომელიც მაგდებურგის ციხეში იჯდა. იგი დაბრუნდა ვარშავაში, სადაც მას მთელი ერი შეეგება, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, როგორც სამშობლოს ერთადერთ მწსნელს. ი. პილსუდსკი ერთხმად აღჭურვეს ფაქტიურად შეუზღუდავი ძალაუფლებით. იმ დროს, პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ჯერ კიდევ იდგა გერმანული არმიის ძლიერი შენაერთი, რომელსაც საკუთარი სამშობლოსაკენ მიმავალს პოლონეთის ტერიტორიაზე უნდა გაევლო. გერმანელებს ფეხდაფეხს მისდევდა რუსი ბოლშევიკების ლაშქარი იმ რწმენით, რომ ევროპაში მათი ბატონობის უამი დადგებოდა. სწორედ, აქ იწყება ი. პილსუდსკის პოლიტიკური მოქმედების ახალი ეტაპი; რომელიც მიმართული იყო პოლონეთის სამი ოკუპანტი ქვეყნის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი) წინააღმდეგ. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, მან მართლაც მიაღწია მიზანს.

შემდგომი ეტაპი უკვე აღმშენებლობით მუშაობას უნდა დათმობოდა. ამ გამოცდის ჩაბარება პოლონეთს მეტად რთულ პირობებში მოუხდა. საჭირო იყო საჩქაროდ შექმნილიყო სახელმწიფო აპარატი, ასევე შეიარაღებული ძალები, რაც კიდევ უფრო ძნელი იყო, რამდენადაც, სახელმწიფოს ყველა სტრუქტურა უკანასკნელი ომის განმავლობაში, დაუნდობელ ბრძოლათა სარბიელს წარმოადგენდა. პოლონეთი, ბოლო 100 წლის განმავლობაში სამი სახელმწიფოს „ჩინური კედლებით“ იყო დაყოფილი, თითოეული მათგანის სამფლობელო ტერიტორიად. პოლონელი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ი. პილსუდსკის ხელმძღვანელობით, მათ, დიდი სირთულეების მიუხედავად, დასახულ მიზანს მიაღწიეს. შექმნილ ვითარებაში დანგრეული ქვეყნის აღდგენა ძალზე ჭირდა. პოლონეთი ფაქტიურად, სახიფათო ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის წინაშე დადგა. ასეთ რთულ პირობებში, ი. პილსუდსკი ქვეყანას მხსნელად მოევლინა. 1926 წელს, ქვეყნის აღმშენებლობის მიზნით, იგი პოლიტიკურ სარბიელზე კვლავ გამოვიდა და სააღმშენებლო მუშაობაში ისეთივე თვისებები გამოიჩინა, როგორც კონსპირაციულ მოქმედებაში. ეს შედეგი იყო ი. პილსუდსკის მუხლჩაუხრელი მუშაობისა. მან, ფაქტიურად უფსკრულიდან გამოიყვანა პოლონელი ური და ხანგრძლივი, თავდადებული მუშაობით ქვეყანას შეუქმნა მკვიდრი საძირკველი მომავალი განვითარებისათვის.

ი. პილსუდსკიმ სამშობლოს მძლავრი კადრები აღუზარდა მის მიერ დაწყებული საქმეების გასაგრძელებლად. მან ყველაფერი შესწირა სამშობლოს, რისი შეწირვაც კი შეიძლებოდა: შესწირა მთელი თავისი ახალგაზრდობა, რომელიც ციხეებში და ტანჯვაში გაატარა, მთელი თავისი მხედრული ნიჭი კი სამშობლოს აღორძინებას მოახმარა. თუ თვალს გადავავლებთ პოლონეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, დავინახავთ, რომ ი. პილსუდსკის ღვაწლი განუზომელია. მან თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა, პოლონეთისათვის უკიდურესი გაჭირვების და უიმედო მდგომარეობიდან დაიწყო და საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა. ქართველი ერისათვის პოლონეთის ისტორიის ამ პერიოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს არის იმ ერის ისტორია, რომელსაც განგებამ, ქართველი ერის მსგავსად, უცხო, მძლავრი და აგრესიული მეზობლები მოუვლინა. პოლონელმა ერმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თუკი ერს აქვს სურვილი იბრძოლოს საკუთარი არსებობისათვის, მაშინ ამ ერის გათავისუფლება, მხოლოდ დროის საკითხად რჩება. ამ თვალსაზრისით, იოსებ პილსუდსკიმ გადალახა თავისი ქვეყნის საზღვრები და მაგალითად იქცა ყველა იმ ხალხისათვის, ვინც საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძვის. პოლონეთში, ემიგრაციაში მყოფი ქართველი იუნკერი ნიკოლოზ მათიკაშვილი ასე აფასებდა იოსებ პილსუდსკის პიროვნების მნიშვნელობას პოლონეთისათვის: „პოლონეთს, ისევე როგორც საქართველოსაც, რუსეთის ხელში ბევრი ჰქონდათ საუკმაყოფილო და ამისათვის იყო, რომ ორივე ამ ქვეყანაში ბევრი აღმოჩნდა მემარცხენეთა დარაზმულ რიგებში. ოღონდ, რამდენადაც ეს მოვლენა სასარგებლო აღმოჩნდა თვითმპყრობელობის დანგრევის მოახლოვებისათვის, იმდენად დასცა და მოაღუნა ეროვნული შეგნება და ამით აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა იმ ერებს მაინც, რომელთა ცხოვრება ცალკე კალაპოტით

მოწყობას ითხოვდა. საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ რამდენად გადამწყვეტი და მწვავე იყო თვითმპყრობელობას მოცილებული ერებისათვის ამ უკანასკნელი სიმძიმის დაძლევა, ვართ ჩვენ, ქართველები. პოლონეთსაც იგივე გზა არ ასცდებოდა, რომ მისი ბედის მკვეთელად ჩვენის მსგავსი პირობები დარჩენილიყო. ბედი, ოღონდ, უფრო ლმობიერი გამოდგა მათვის და იმ ძნელ წუთებში მოუვლინა კაცი, რომლის რკინის ნებისყოფამ, აღელვებულ ცხოვრების ტალღებზე პოლონეთის გემი გამოკდილი ხელით იქამდე და ისე ატარა, ვიდრე ის სასურველ და მყუდრო ნავთსაყუდელთან არ მიიყვანა. ეს ადამიანი, მსოფლიოში კარგად ცნობილი მარშალი პილსუდსკია; ის პილსუდსკი, რომლის პირადი ბიოგრაფია პოლონეთის ერის, მისი თავისუფლების აღდგენის და განმტკიცების ისტორიაა. ერის ისტორიას პიროვნებანი ქმნიან, კარგსაც და ავსაც. მათი დამსახურება და ბრალია, თუ ერი, ათეული წლების სიგრძეზე, ბედსა ან უბედობაში ჩავარდება და პოლონეთის მაგალითზე ეს აქსიომა კიდევ ერთხელ დამტკიცდა. ადვილი პირობები არ ჰქონია სამად გაყოფილ პოლონეთს თავისუფლების მოპოვებისა და განმტკიცებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან შედარებით, ეს პირობები იყო ბევრად უფრო ძნელი, მაგრამ პილსუდსკიმ არამც თუ ყველა პირობები გადალახა, არამედ გენიოსური შორსმჭვრეტელობით შეაფასა და თავისი მომავალი მოქმედებისათვის, ერის საკეთილდღეოდ ხელსაყრელი ფონი თვითონვე და წინდაწინვე შექმნა. ამ მიზეზის ბრალია, რომ ი. პილსუდსკის პიროვნება თავისი ღირსებით და ფასით ბევრად გასცდა პოლონეთის ერის მასშტაბს და მისი პიროვნება ყველა თავმოყვარე ერისათვის შესწავლის საგნად და პატივის ღირსად იქცა.“

ბუნებრივია, ტაბახმელას გმირი ნ. მათიკაშვილი, ვერ ეგუებოდა, 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას და იმ სასტიკ, კომუნისტურ რეჟიმს, რომელიც დამყარდა მის მშობლიურ საქართველოში და ემიგრაციაში მყოფი, სინანულით აფასებდა ქვეყნის ისტორიის იმ მეტად მძიმე პერიოდს, რომელმაც საქართველო დიდი ხნით დააშორა განვითარების დასავლურ გზას.

ი. პილსუდსკის, ქვეყნის გათავისუფლების იმედი, ჯერ კიდევ, რუსეთიაპონიის ომმა ჩაუსახა. ამასთანავე, იგი ხედავდა პოლონეთის ერის ტრაგედიას იმაში, რომ პოლონეთის შვილებს სისხლი უნდა დაეღვარათ შორეული აღმოსავლეთის საზღვრებზე, რუსეთის ინტერესების დასაცავად. ი. პილსუდსკის არ აშინებდა დაპატიმრების საფრთხე, როდესაც ვარშავაში დაბრუნდა და მობილიზაციის საწინააღმდეგო აშკარა პროპაგანდას ეწეოდა. სამწუხაროდ, პოლონეთის საზოგადოება მაშინ მზად არ აღმოჩნდათავისუფლებისათვის საბრძოლველად. მალე, იაპონიის მთავრობის მიწვევით, პილსუდსკი იაპონიაში გაემგზავრა და ქვეყნის მთავრობას წინდადადება მისცა რუსეთის ჯარების ზურგში დაზვერვის მოწყობის შესახებ. სანაცვლოდ, იაპონიისაგან მოითხოვა იარაღი და საბრძოლო მასალა პოლონელი რევოლუციონერებისათვის. მოლაპარაკება ვერ შედგა და პილსუდსკი კრაკოვში დაბრუნდა. მან მიიღო გადაწყვეტილება, მოემზადებინა საყოველთაო შეიარაღებული გამოსვლები და

ენერგიულად შეუდგა ამ საქმეს. პირველი ასეთი შეიარაღებული გამოსვლა, 1904 წლის 10 ნოემბერს, ვარშავაში მოხდა და მას უსისხლოდ არ ჩაუვლია.

ი. პილსუდსკიმ, რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, შექმნა სამხედრო საფუძველზე დამყარებული, „მებრძოლთა ორგანიზაცია“. ამ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 6 000 კაცს აღწევდა. ისინი დაყოფილი და განაწილებულნი იქნენ პატარ-პატარა დივიზიებად\* და იმყოფებოდნენ რუსეთის მიერ დაპყრობილი პოლონეთის ტერიტორიაზე. ი. პილსუდსკიმ ამ რაზმებს ამოცანად დაუსახა რუსების განუწყვეტლივ შევიწროება. სწორედ, იმ პერიოდში დაიწყო თავდასხმები ფოსტაზე, პოლიციაზე, მატარებლებზე და სხვადასხვა დაწესებულებებზე. იოსებ პილსუდსკიმ, ორგანიზაციაში შეიტანა სამხედრო წესრიგი და განკარგულებებს სცემდა, როგორც ოფიციალური სამხედრო მეთაური. რუსეთის მთავრობა ამ რაზმებს დაუნდობლად დევნიდა, რის გამოც ორგანიზაციის მუშაობა მეტად გართულდა; გახშირდა ორგანიზატორთა დაპატიმრებებიც, შედეგად კი, ზოგი მათგანი საზღვარგარეთ გაიქცა. ორგანიზაცია, თითქმის დაშლის პირას იყო. მიუხედავად ამისა, ი. პილსუდსკის შეუდრევებულმა ხასიათმა, ამ შემთხვევაშიც თავისი გაიტანა. მან გადაწყვიტა საქმის გამოსწორება. აი, რას წერდა იგი 1907 წლის ბოლოს: „ვშრომობ და ვფიქრობ ორ საკითხზე – ფულის შოვნაზე მომავალი ხაზინის დასაარსებლად და მილიტარულ აგიტაციაზე, ე. ი. მომავალი რევოლუციონერების საბრძოლო ამოცანების შესწავლა-მომზადებაზე, თუკი ნაწილობრივ მაინც მივაღწევ პირველ შემთხვევაში, 300 000 მანეთის შოვნას და მეორე შემთხვევაში კი, შევძლებ შევუნარჩუნო საზოგადოებას საღი აზროვნება ამ მიმართულებით და ახალგაზრდების დაინტერესება – ვიქნები სავსებით კმაყოფილი და შევძლებდი ასეთ შემთხვევაში, შემექმნა ისეთი რამ, რომელიც უფრო მეტად გამოსაყენებელი იქნებოდა მიზნის მისაღწევად, ვიდრე დღევანდელი აქტიური რაზმები“. ამ თვალსაზრისით, ი. პილსუდსკი 1908 წლის დასაწყისიდან ნოემბრამდე, აქტიურ მუშაობას ეწეოდა. ხანგრძლივი შრომისა და დაზვერვის შემდეგ, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ქ. ვილნოდან მატარებლით, დიდი თანხა გადაჰქონდათ პეტროგრადში. მისმა თანამოაზრებმა, გადაწყვიტეს მატარებელზე თავდასხმა და ფულის გატაცება. დადგენილების სისრულეში მოყვანა ფრიად მნელი და სახიფათო იყო. ი. პილსუდსკი, თავის ორ მეგობართან ერთად, აწყობს გეგმას, რომლის სისრულეში მოსაყვანად დათქვეს 1908 წლის 26 ნოემბერი. აღნიშნული გეგმის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდა 14 კაცი, მათ შორის იყო ერთი ქალი. კარგად მომზადებული საქმე, ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. მატარებელი გააჩერეს და ფოსტის მცველი გუშაგების განიარაღების შემდეგ, შეთქმულებს ხელში ჩაუვარდათ, ზუსტად სასურველი თანხა – 300 000 მანეთი. ამ წარმატებული ოპერაციის შემდეგ, მისი მონაწილენი, სხვადასხვა მიმართულებით დაიფანტნენ, მათი ერთი ნაწილი ავსტრიაში გადავიდა. მათ შორის იყო ი. პილსუდსკიც; ცოტა მოგვიანებით, ავსტრიაში ფული ჩაიტანა გეგმის განხორციელებაში მონაწილე ქალმა, გვარად შჩერბინსკამ, რომელიც შემდგომში ი. პილსუდსკის მეუღლე გახდა.

ი. პილსუდსკიმ მიზნად დაისახა ძლიერი პოლონური არმიის შექმნა. მოგვიანებით ქ. ლვოვში, მან საფუძველი ჩაუყარა ორგანიზაციას, სახელწოდებით – „აქტიური ბრძოლის კავშირი“, რომელიც შემდგომში „მსროლელთა კავშირად“ გადაკეთდა. მის მიერ შექმნილ მსროლელ ჯგუფებს, რომელთა რაოდენობა 1912 წელს 300 აღწევდა, იგი შესცეკროდა, როგორც კადრებს, რომელთაგან მომავალში შეიქმნებოდა პოლონეთის ჯარი. ი. პილსუდსკი თავის ორგანიზაციაში იზიდავდა ინტელიგენტ აზალგაზრდობას. მან დააარსა ნაცვალთა სამხედრო სკოლა, ხოლო ოფიცერთათვის – უმაღლესი სკოლა.

ი. პილსუდსკის მიერ შექმნილი ორგანიზაცია არ იყო სავსებით ფარული. ავსტრიის მთავრობა ხელს არ უშლიდა მის წევრთა მუშაობას, რადგან თავის მხრივ, ის მომავალში ამ ორგანიზაციის ავსტრიის მიზნებისათვის გამოყენებაზე ფიქრობდა. 1912 წელს, ი. პილსუდსკიმ გამოიჩინა არაჩვეულებრივი გამბედაობა და მომავალი ჯარის საჭიროებისათვის დააარსა სამხედრო ხაზინა, ასევე, შექმნა „პოლონეთის განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელიც I მსოფლიო ომის დასაწყისში, ფაქტობრივად, მთავრობის როლს ასრულებდა. „განმათავისუფლებელი კომიტეტი“ თვითონვე მართავდა საველე სწავლებებს და მანევრებს, ასევე, უმაღლეს სამხედრო სკოლაში ატარებდა ლექციებს.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, პილსუდსკი იმ აზრისა იყო, რომ პოლონეთი იმ შემთხვევაში გათავისუფლდებოდა, თუ მომავალ ომში დამარცხდებოდა ჯერ რუსეთი, შემდეგ კი – გერმანია, ხოლო თუ რუსეთი ან გერმანია საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდოდა ამ ომიდან, მისი აზრით, პოლონეთი ვეღარასოდეს დაიხსნიდა თავს მათი უღლისაგან. სწორედ, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ი. პილსუდსკი, როდესაც პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, თავისი ჯარით, ავსტრიელების მხარეზე იყო და იბრძოდა რუსეთის დასამარცხებლად. ის იმედოვნებდა, რომ ავსტრიის მხარეზე საომარი მოქმედებისას, რუსეთის მიერ დაპყრობილ პოლონეთის ნაწილში, მოახერხებდა პოლონელი ერის აჯანყებას. 1914 წლის 6 აგვისტოს, კრაკოვიდან ბრძოლის ველზე გაემართა პოლონეთის ჯარის პირველი საკადრო ასეული, სულ 160 კაცი, რომელიც მთლიანად ინტელიგენტებისაგან შედგებოდა. ასეულს ი. პილსუდსკიმ შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჯარისკაცნ! წილად გხვდათ ის დიდი პატივი, რომ პირველი გაილამქრებთ სამეფოსაკენ (იგულისხმება რუსეთის შემადგენლობაში მყოფი პოლონეთის ტერიტორია, ლ.ს.) და გადალახავთ რუსეთის საზღვრებს, როგორც მოწინავე ნაწილი პოლონეთის ჯარისა, რომელიც მიეშურება ბრძოლაში სამშობლოს განსათავისუფლებლად... თქვენ შეგცექით როგორც კადრებს, რომლის ფარგლებში უნდა გაიშალოს (აშენდეს) მომავალი პოლონეთის ჯარი და მოგილოცავთ თქვენ, როგორც პირველ საკადრო ასეულს.“ მათ წინ მიუძღვდათ რვა კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი პატრული, ბელინა პრაჟმოვსკის მეთაურობით. ცხენოსანთა პატრულს მზვერავის ფუნქცია ენიჭებოდა, თუმცა მათ ცხენების საჭირო რაოდენობა არ ჰყავდათ და ნაბრძანები პქნდათ ისინი რუსებისათვის წაერთმიათ.

ი. პილსუდსკის ძალისხმევით, შექმნა მსროლელთა რაზმი და მოკლე ხანში პირველი ასეული იქცა ლეგიონად, შემდეგში ლეგიონი\* დაიშალა პირველ ბრიგადათ, რომელსაც უშუალოდ მეთაურობდა კომენდატი ი. პილსუდსკი. ბრძოლის ველზე გამოჩნდა, ასევე, მეორე და მესამე ლეგიონების ბრიგადები. პატარა ცხენოსანი პატრული გადაიქცა ცხენოსან ლეგიონად. ლეგიონერებს ეცვათ პოლონური ფორმები, ქუდზე კი ისინი ატარებდნენ პოლონეთის გერბს, გვირგვინოსანი თეთრი არწივის გამოსახულებით. კომენდანტმა ი. პილსუდსკიმ, ბრძოლის წინ პოლონელ ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „დადგა გადამწყვეტი დრო. პოლონეთმა თავი დააღწია მონობას და სურს თვით განაგოს თავისი ბედი, თვით სურს ააშენოს საკუთარი მომავალი და ამისათვის გამოჰყავს ბრძოლის ველზე საკუთარი შეიარაღებული ძალები. პოლონეთის ჯარის კადრებმა უკვე ფეხი დაადგეს პოლონეთის სამეფოს მიწაზე ... მოგვაქვს ერისათვის განთავისუფლება...“

1916 წლის დასაწყისში, პოლონეთი უკვე გათავისუფლებული იყო რუსების ჯარისაგან, თუმცა იქ გერმანიისა და ავსტრიის ჯარები კიდევ იდგნენ.

კომენდანტი ი. პილსუდსკი, როგორც სამხედრო მინისტრი, დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შევიდა. გერმანელები დაპირდნენ პოლონელებს სახელმწიფოს აღდგენას იმ პირობით, თუ მათ გერმანიის ჯარის შესავსებად პოლონელი ახალგაზრდების გაწვევის უფლება მიეცემოდათ. მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე, კომენდანტი ი. პილსუდსკი, წინ აღუდგა გერმანიის ამ წინადადებას. მან ყოვლად შეუძლებლად მიიჩნია გერმანიის დახმარება. იმავდროულად, ი. პილსუდსკი გრძნობდა, რომ გერმანელები, უარის მიუხედავად, მაინც თავისას გაიტანდნენ და ამიტომ სასწრაფოდ შეუდგა საიდუმლო ორგანიზაციის ფორმირებას პოლონეთის სამივე ნაწილში და წარმატებით გაართვა თავი „პოლონეთის მხედრული ორგანიზაციის შექმნას“. გერმანელებმა იგრძნეს პოლონელი საზოგადოების წინააღმდეგობა და ლეგიონერებისაგან გერმანიის სახელმწიფოს წინაშე ერთგულების ფიცის დადება მოითხოვეს. ი. პილსუდსკი პოლონეთის ჯარს შემდეგი სახის ბრძანებას აძლევს: „ფიცი არ მიიღოთ!“

1917 წლის 22 ივლისს, გერმანელებმა დაატუსაღეს კომენდანტი ი. პილსუდსკი და მისი შტაბის უფროსი კ. სოსნოვსკი. ორივენი გერმანიაში გადაიყვანეს და მოათავსეს მაგდებურგის ციხეში. გერმანელებმა ბრიგადები დაშალეს და ლეგიონერები მოათავსეს საიზოლაციო ბანაკში. პილსუდსკის დაპატიმრების შემდეგ, „პოლონეთის მხედრული ორგანიზაციის“ ხელმძღვანელობა თავის თავზე გენერალმა რიდზ-სმიგლმა აიღო.

1918 წლის ნოემბერში, გერმანელების დამარცხების შემდეგ, იოსებ პილსუდსკი და მისი შტაბის უფროსი პატიმრობას თავს აღწევნ და 1918 წლის 10 ნოემბერს, ორივენი ვარშავში დაბრუნდნენ. ხალხი მათ ზეიმით შეხვდა. პოლონელი ხალხის რწმენით, ერთადერთი პიროვნება, რომელმაც დაიმსახურა ერის მართვის უფლება და შესწევდა ძალა სათავეში ჩადგომოდა საკუთარ ქვეყანას, ი. პილსუდსკი იყო. იმ პერიოდში, მოწვეულ იქნა სახალხო

ყრილობა, რომელმაც მთელი ძალაუფლება მას გადასცა. იგი, ამასთანავე ხდება „სახელმწიფოს უფროსი“ და ყველა შეიარაღებული ძალის მთავარსარდალი.

იმ დროისათვის, პოლონეთის გერმანული, ავსტრიული და რუსული ნაწილები დაკავებული იყო გერმანელების მიერ. რუსეთიდან უკან დახუულ გერმანიის ჯარს კვალდაკვალ მიჰყებოდა ბოლშევიკური ჯარი. სურსათ-სანვაგე გატაცებული იყო ოკუპანტების მიერ. ცივი ზამთარი მძიმედ აწვებოდა ისედაც გატანჯულ პოლონელ ხალხს. ი. პილსუდსკის ვარშავაში დაბრუნების შემდეგ, მხოლოდ მისი სიმშვიდე, შეუდრეკელობა და დაუშრეტელი ენერგია ასულდგმულებდა პოლონელ ხალხს. საჭირო იყო საიდუმლო ორგანიზაციის აქტიური მუშაობა, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წელს დაარსა წინდახედულმა ი. პილსუდსკიმ.

გერმანიაში რევოლუციის პირველი დღიდან, გენერალ რიდზ-სმიგლის ბრძანებით „პოლონეთის მხედრული ორგანიზაცია“, შეუდგა გერმანიის ჯარის განიარაღებას. ბრძოლა გაჩადდა პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე. პოლონეთის შეიარაღებული ძალების რიცხვი დღითიდლე მატულობდა. ი. პილსუდსკიმ დააჩქარა რეგულარული ჯარის შექმნა. გერმანელებისთვის წართმეული იარაღი, მას საშუალებას აძლევდა გაეზარდა ჯარისკაცთა რაოდენობა. იმავე დროს, პოლონელმა ერმა გამოიჩინა არაჩვეულებრივი პატრიოტიზი, ისინი საკუთარი ხარჯებით ადგენდნენ მთელ ლეგიონებს. ქალებმა და ბავშვებმაც კი, ხელში იარაღი აიღეს, მთელი ერი დაირაზმა მტრის წინააღმდეგ. დამოუკიდებლობისაკენ ამ სწრაფვას, სული ჩაუდგა ადამიანმა, რომელმაც სამშობლოს მტრებთან ბავშვობიდანვე დაიწყო ბრძოლა. პოლონეთის მოსაზღვრე სახელმწიფოები ცდილობდნენ მისთვის რომელიმე ნაწილის წართმევას, ასეთი ცდა ჩეხოსლოვაკის მხრიდანაც იყო, თუმცა ი. პილსუდსკიმ მტკიცედ დაიცვა ქვეყნის საზღვრები და არავის არაფერი არ დაუთმო.

ამრიგად, 1918-1919 წლებში ი. პილსუდსკიმ პოლონეთის სამივე ნაწილი დამპყრობლებს გამოგლიჯა, შეაერთა და მკვდრეთით აღადგინა მთელი პოლონეთი. ქვეყნის აღმოსავლეთი საზღვარი ჯერ კიდევ არ იყო დამშვიდებული, რადგან იქ ბოლშევიკები აქტიურობდნენ. 1920 წელი იდგა. საბჭოთა ჯარები, რომლებმაც გაანადგურეს დენიკინი, დასავლეთისაკენ გაემართნენ, რათა წითელი ხიშტებით ეკროპაში საერთაშორისო რევოლუცია გაეჩაღებინათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიკებიც და დენიკინიც ერთნაირად მტრულად უყურებდნენ პოლონეთს, ისევე როგორც საქართველოს.

პოლიტიკური სიტუაცია იმ დროს, რუსეთისათვის შედარებით ხელსაყრელი იყო, რადგან გერმანიის ძველი ძლიერება დაემსხო; ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, დუნაის ნაპირზე მდებარე პატარა სახელმწიფოები დასუსტებულნი იყვნენ. მხოლოდ პოლონეთი უღობავდა გზას რუსეთის დასავლეთისაკენ ექსპანსიას, თუმცა რუს ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ ვერც პოლონეთი შეძლებდა მათი წინსვლის შეჩერებას. იმ დროისათვის პოლონეთი, მართლაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან ჯერ კიდევ მოუმზადებელი იყო რეგულარული ჯარი, რომელსაც აკლდა იარაღი, საომარი მასალა, განსაკუთრებით არტილერია. ჯარი მოკლებული იყო მექანიკურ

სატრანსპორტო საშუალებებს, ასევე მცირერიცხოვანი იყო ცხენოსანი რაზმი. თითოეული სამხედრო ნაწილი თავისებურად გაწვრთნილი იყო, თუმცა ერთიანობაში არ წარმოადგენდა მთლიან, შედუღებულ ორგანიზმს – ჯარს. ერთიანობა არ იყო ქვეყნის შიგნითაც, პოლონეთის ყოველ სამ ნაწილს თავისებური ხასიათის წესრიგი ჰქონდა, იმისდა მიხედვით, თუ რომელი სახელმწიფოს ხელში იმყოფებოდა. პოლონეთის მძიმე მდგომარეობა გამოიყენა რუსეთმა და თავდაჯერებით შეიჭრა ქვეყანაში, თუმცა ბოლშევიკებმა დაივიწყეს, რომ მატერიალური საშუალებები ჯარის ძლიერების ერთ მეოთხედს წარმოადგენს, ხოლო სულიერი ძლიერება კი – სამ მეოთხედს. მართალია, პოლონეთის ჯარს სათანადო აღჭურვა აკლდა, მაგრამ სამაგიეროდ მის სათავეში იდგა ბუნებით პატრიოტი ი. პილსუდსკი, რომელიც ჯარისკაცებს სულიერ მხნეობას მატებდა. ჯერ კიდევ, 1919 წლის ბოლოს, პოლონეთის სარდლობა შეუდგა შეიარაღებული ძალების გადამზადებას. რეორგანიზაციის შედეგად, პოლონეთის შეიარაღებული ძალები შედგებოდა 21 ქვეითი ჯარის დივიზიისა და 7 ცხენოსანთა ბრიგადისაგან. ჯარისკაცთა საერთო რიცხვი იმ დროისათვის 600. 000 აღწევდა. გარდა ამისა, არსებობდა ერთეულთა გარეშე მდგომი, სარეზერვო ნაწილებიც. იმ პერიოდში, პოლონეთის სარდლობა გადავიდა ფრანგული მუშაობის მეთოდზე, რომლის შესაბამისად ხდებოდა უმცროს, უფროს და გენერალური შტაბის ოფიცერთა გაწვრთნა.

1920 წლის იანვრის პირველ რიცხვებში, პოლონეთის ლაშქარი დაეხმარა ლიტვას, მათთან ერთად უკუაგდო ბოლშევიკები აღმოსავლეთისაკენ და ფრონტი გადაიტანა მდინარე სვინუხის და ოსვეის ტბის ნაპირებზე. 1920 წლის მარტის ბოლოს, პოლონეთის შეიარაღებული ძალებიდან ფრონტზე იმყოფებოდა 16 ქვეითი დივიზია და 14 ცხენოსანთა პოლკი, დანარჩენი ნაწილები ჯერ ისევ ქვეყნის შიგნით იდგნენ. მოქმედ ჯარს შემდეგი ხაზი ეჭირა: ჩრდილოეთიდან იგი მოსდევდა მდინარეებს – დვინას, ბერეზინას და პტიჩის, შემდეგ მდინარე უბორცს, სამხრეთით კი დაახლოებით შეპეტუვკა-ზვიაპელ-პროსკუროვო-ტარნოპოლის რკინიგზას (იხილეთ რუკა №1).

რესი ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებათა დაწყების წინ, პოლონეთის შეიარაღებული ძალები ხუთ ლაშქრად იქნა დაყოფილი, სახელდობრ: ფრონტის ჩრდილოეთი ნაწილი მდინარე ბერეზინის ნახევრამდე ეჭირა I არმიას, ფრონტის სამხრეთი ნაწილი ორ არმიას – ვოლინი II, ხოლო პოდოლი კი VI-ს. ფრონტის ეს ორი დიდი ნაწილი გაყოფილი იყო შუაზე, პოლესიის გაუვალ ჭაობიან ტყეთა სივრცით. აღნიშნული სივრცე, ჯარის ნაწილების შესაერთებლად დაკავებული ჰქონდა IV არმიას. პოლონეთისადმი მტრულად განწყობილი ლიტვის საზღვრებზე მდგომი ნაწილები კი დარაზმული იყვნენ შვიდ არმიად. III და V არმია, ფაქტიურად არ არსებობდა. დასავლეთის საზღვრები, იმ დროს ანტანტის\* უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ვაჭრობის საგანს შეადგენდა და სამხედრო მოქმედებათა უშუალო ადგილს არ წარმოადგენდა. პოლონეთის ფრონტმა უფრო შორს, აღმოსავლეთით გადაინაცვლა, ვიდრე ის მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად, ვერსალის\* ზავით იქნა განსაზღვრული პოლონეთისათვის.

პოლონეთში რუსი ბოლშევიკების შემოჭრამდე, ევროპის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: რუსეთში, ხანგრძლივი შინაური ომის შემდეგ, ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. ანტანტამ თავი დაანება რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას და დატოვებული ნადავლით მნიშვნელოვნად გააძლიერა ბოლშევიკების სამხედრო ძალები. შინაურმა გამარჯვებებმა რუსეთის მმართველებს შინაგანი რწმენა განუმტკიცა. იმ დროისათვის ვერმანიაში ანარქია და ქაოსი სუფევდა, სადაც ხელისუფლებას ერთმანეთს ეცილებოდნენ მემარჯვენე და მემარცხენე (კომუნისტური) ელემენტები. იტალია ერთი მხრივ, განიცდიდა ძლიერ ეკონომიკურ კრიზისს, მეორე მხრივ, მემარჯვენეები უკმაყოფილონი იყვნენ ზავის პირობებით. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო დამარცხებული ავსტრია. ასეთ პირობებში, რუსეთის პოლიტიკური მესვეურები ფიქრობდნენ საკუთარი სურვილისამებრ მოეწყოთ ევროპის პოლიტიკური რუკა. რუსეთის ამ სურვილს კი წინ აღუდგა ახლად აღმოცენებული პოლონეთის რესპუბლიკა.

რუსეთი, ჯერ კიდევ 1919 წლის ბოლოს შეუდგა ყველა თავისი შინაური ბრძოლებისაგან გათავისუფლებული ძალების გადმოსროლას პოლონეთის წინააღმდეგ. ამასთანავე, რუსეთმა პოლონეთს ორჯერ შესთავაზა ზავი, რაც ერთგვარი პოლიტიკური ფანდი იყო მისი მხრიდან და სინამდვილეში, ევროპის თვალში რუსეთის მომრიგებლის როლში გამოყვანას ითვალისწინებდა. ეს რუსეთის ნაცადი პოლიტიკური ხერხი იყო, რომელსაც იგი აქტიურად იყენებდა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. პეტრე დიდისა და ვახტანგ VI-ის კავშირის შემდეგ, საკუთარ თავზე საქართველომაც არაერთხელ გამოსცადა რუსული ხრიკების სხვადასხვა ვარიანტის სიმწარე.

რუსეთს შეეძლო ორი მიმართულებით დაეწყო ფართო მასშტაბიანი შეტევა პოლონეთის მიმართულებით. ერთი, ეს იყო პოლესის სამხრეთით მყოფი ნაწილი, სადაც უკრაინიდან ვოლინის გავლით, მოწინააღმდეგე სამხრეთიდან შემოუვლიდა პოლესის სივრცეს და გადმოვიდოდა ცენტრალურ პოლონეთში. მეორე მიმართულება კი, ფრონტის ჩრდილოეთი ნაწილით, გადადიოდა ვილნო-ბიალისტოკის გზით, ლიტვისა და გერმანიის საზღვრების გასწვრივ, ჩრდილოეთიდან უვლიდა პოლესის რაიონს და იქედან შედიოდა ცენტრალურ პოლონეთში. ამასთანავე, რუსეთი თავისი შეიარაღებული ძალების უმთავრეს ნაწილს, პოლონეთის წინააღმდეგ გზავნიდა დენიკინის ფრონტიდან, ანუ სამხრეთიდან, კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილიდან. უკრაინაში, პოლონეთის ჯარის გამარჯვების შედეგად, გაჩნდა ახალი მოკავშირე სახელმწიფო დიდი უკრაინის სახით, რამაც მდგომარეობა პოლონეთის სასარგებლოდ ძირვესვიანად შეცვალა. პოლონეთის სარდლობამ გადაწყვიტა, რუსეთზე ადრე დაეწყო აქტიური მოქმედება ფრონტის სამხრეთ ნაწილში, უკრაინის ტერიტორიაზე. ამ დიდი სამხედრო ოპერაციის დაწყების წინ, პოლონეთის სარდლობამ ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პოლონელებმა რუსებს გადაუჭრეს ზურგში მიმავალი ორშა-კოროსტენ-ჟიტომირ-ჟმერინ კის რკინიგზა. ეს გზა რუსეთს შესაძლებლობას აძლევდა იოლად გადაეჯვაუფებინა თავისი ძალები ერთი მიმართულებიდან მეორეზე. აღნიშნული გზის გადაჭრით,

რუსეთს უახლოეს გზად რჩებოდა მხოლოდ დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირით მიმავალი პომელ-ბახმაჩ-კიევის გზა. როდესაც პოლონეთის სარდლობა უკრაინის ფრონტზე შეტევას გეგმავდა, გამოირკვა, რომ რუსეთი თავისი შეიარაღებული ძალების უმთავრეს ნაწილს ჩრდილოეთის ფრონტზე აჯგუფებდა და აქედან უფრო ადრე შეიძლებოდა დაწყებულიყო პოლონეთზე მოსალოდნელი შეტევა. ბუნებრივია, ჩრდილოეთის ფრონტზე პოლონეთის ჯარის გადაჯგუფებას დიდი დრო დასჭირდებოდა, ამასთანავე, უკრაინის ფრონტის შესუსტებით და იქედან ჯარის გამოყვანით ინიციატივა რუსების ხელში გადავიდოდა. აქედან გამომდინარე, პოლონეთის სარდლობამ გადაწვიტა არ დაეთმო რუსეთისათვის და უკრაინის ფრონტზე დროულად გადასულიყო შეტევაზე. აღნიშნულ ფრონტზე რუსეთის ორი არმია იდგა: XII, რომელიც ეყრდნობოდა კოროსტენ-კიევის რკინიგზას და XIV, რომელიც განლაგებული იყო უმერინკა-ოდესის ხაზზე. მათ აერთებდათ კიევ-უმერინკა და უმერინკა-კოროსტენის რკინიგზების კოზიატინის კვანძი (იხილეთ რუკა №2).

პოლონეთის სარდლობამ, რუსულ ფრონტს, სამ არმიად დარაზმული 8 ქვეითი ჯარის დივიზიით, ასევე 1 ცხენოსანი დივიზიით და ცხენოსანთა 2 ბრიგადით შეუტია. ეს ოპერაცია ი. პილუდსკიმ პირადი ხელმძღვანელობით ჩაატარა, ხოლო მთავარი ამოცანა ახლად შექმნილ მესამე არმიის უფროსს, გენერალ რიბ-სმიგლს დაავალა. შეტევა დაიწყო 1920 წლის 25 აპრილს. პოლონელების მიერ, რუსეთის ჯარები გაყოფილი იქნა უიტომერ-კოზიატინის რაიონში შეჭრის შედეგად. ორივე ფრთიდან კონცენტრირებული შეტევით უკუგდებული იქნა რუსეთის XII-ე არმია, რომელსაც უკან დასახევი გზა პოლონელთა ცხენოსანთა ჯარმა მოუჭრა. რუსეთის ჯარებმა გაარღვიეს უკან დასახევი გზა და დიდი ზარალით დაიწიეს კიევისაკენ. აღნიშნული საბრძოლო მოქმედებების პარალელურად, პოლონელთა VI არმია უტევდა რუსი ბოლშევიკების XIV არმიას, რომელიც გადავიდა უმერინკა-ვინწიცის რაიონში. რუსები მოემზადნენ კიევის რაიონში ბრძოლის საწარმოებლად, რის გამოც რუსეთის სარდლობამ გააძლიერა III არმია, რომელსაც დავალებული ჰქონდა დნეპრის დასავლეთ ნაწილის დაპყრობა მდინარე პრიპეცისა და კრასნოს შორის, თვით კიევში მათ უნდა აღედგინათ ხიდები, დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე კი უნდა დაეკავებინათ ხიდის საფარი. დანარჩენ ორ არმიას დაევალა შეტევის მოგერიება კიევის სამხრეთით.

1920 წლის 9 მაისს, პოლონელებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს კიევი, რუსებმა უკან დახევით თავიდან აიცილეს სახიფათო ბრძოლა, ისინი მხოლოდ დნეპრის მარჯვენა ნაპირს იცავდნენ კიევის რაიონში. პოლონელებმა გადაწყვიტეს დნეპრის ნაპირის დაცვა, პარალელურად, II არმიის საშუალებით, სამხრეთისაკენ გალაშქრება, თუმცა საბრძოლო ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილში მომხდარმა ამბებმა მოვლენათა შემდგომ განვითარებას სულ სხვა მიმართულება მისცა. საქმე იმაში იყო, რომ ჩრდილოეთის ფრონტზე რუსებმა მოახდინეს მთელი თავიანთი ძალების კონცენტრიტება და გადამწყვეტი შეტევისათვის მოემზადნენ. პოლონეთის სარდლობამ გადაწყვიტა ამჯერადაც დაესწრო რუსებისათვის. მათი გეგმის თანახმად, გადაწყდა 17 მაისს, შეტევა დაეწყოთ

პოლესიის ჩრდილოეთ რაიონიდან; აღნიშნული ოპერაცია უნდა განხორციელებულიყო პოლონეთის ოთხი დივიზიის მიერ, რომელთაგან ერთი უკრაინის ფრონტიდან იქნა გადმოსროლილი. ეს არმია შეეწინააღმდეგებოდა მინსკზე (რუსეთის ტერიტორიაზე) შეტევისათვის გამზადებულ, რუსული არმიის ნაწილებს. თავის მხრივ, რუსებს განზრახული ჰქონდათ, უკუეგდოთ პოლონეთის ჯარი პოლესიის ჭაობებზე და იქვე გაენადგურებინათ ის. პოლონელებმა დაიგვიანეს, რადგან ჯერ კიდევ 14 მაისს, რუსების 6 ქვეითი ჯარი და ერთი ცხენოსანთა დივიზია, ლეპელის რაიონიდან პირდაპირ დასავლეთის მიმართულებით გაემართა. იმავდროულად, რუსების შეიარაღებული ძალების შედარებით სუსტი ჯგუფი, პოლონეთის არმიას ჩრდილოეთიდან – ლატვიისა და ლიტვის საზღვრების გასწვრივ უტევდა (იხილეთ რუკა №3). იმ პერიოდში ლატვია საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთთან, ხოლო ლიტვა პოლონეთისადმი აშკარად მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. რაც შეეხება პოლონეთის შეიარაღებულ ძალებს, მათ ამ დროისათვის სულ ორი დივიზია ჰყავდათ. პოლონელთა I არმიამ უკან დაიხია, მისმა მთავარმა ძალებმა სამხრეთის მიმართულებით, მოლოდეჩინოსკენ დაიწია, ხოლო ერთმა ნაწილმა დასავლეთისაკენ. შეტევის მეოთხე დღეს, რუსების მთავარი შეიარაღებული ძალები შემოტრიალდნენ სამხრეთისაკენ და გეზი მოლოდეჩინზე აიღეს, რათა აქედან პოლონელთა ჯარი პოლესიის ჭაობებზე უკუეგდოთ. იმავდროულად, რუსები მინსკის მიმართულებითაც უტევდნენ. მაისის ბოლო რიცხვებში, პოლონელებმა შეტევა გააძლიერეს სამხრეთიდან გადმოყვანილი ახალი დივიზიების მეშვეობით, რითაც მოახერხეს რუსების შეტევის შეჩერება. 1 ივნისს, პოლონეთის სარდლობამ მოწინააღმდეგეს ორი ფრონტიდან შეუტია: მარჯვენა ფრთას ოთხი ქვეითი დივიზიით და ერთი ცხენოსანი ბრიგადით, ხოლო მარცხენა ფრთას ორი დივიზიით, რითაც მტერი უკუაგდეს მდინარე აუტას და ბერეზინას ნაპირზე, სადაც პოლონელებმა ფრონტის გამაგრება დაიწყეს. ჩრდილოეთის ფრონტზე შექმნილმა სიტუაციამ აიძულა პოლონეთის სარდლობა შეემცირებინა საკუთარი ძალები უკრაინის ფრონტზე. თავის მხრივ, რუსებმა ძალების შესავსებად, XII არმია კიევის აღმოსავლეთით, კიევის ხიდის საფართან განალაგა. რუსები ელოდებოდნენ ასევე, ბუდიონის ცხენოსანი რაზმის მოსვლას დენიკინის ფრონტიდან.

იმ დროს პოლონეთის სარდლობას, უკრაინის ფრონტზე მხოლოდ ორი მთავარი ძალა ჰყავდა – II არმია, კიევის რაიონში, რომელიც ფრონტით აღმოსავლეთისაკენ იდგა და მის მარჯვნივ VI არმია, ოდესის მიმართულებით, რომელიც სამხრეთის ფრონტზე იყო განლაგებული. რუსეთის სარდლობამ, მიზნად დაისახა კიევის III არმიის განადგურება. მაისის ბოლო რიცხვებში, ბუდიონის ცხენოსანთა არმიამ შეუტია პოლონელთა VI არმიის მარცხენა ფრთის დივიზიას. რუსების ამ შეტევას, იგერიებდა პოლონელთა ოთხი დივიზია და ცხენოსანთა რაზმის ერთი ბრიგადა. მიუხედავად პირველი მარცხისა და დიდი ზიანისა, პოლონელთა დივიზიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსებს და ფრონტის ხაზი უცვლელად შეინარჩუნა, თუმცა ამ ბრძოლამ პოლონეთის მთელი მაშველი რაზმი შეიწირა.

5 ივნისს (1920 წ.), რუსებმა ბრძოლები განაახლეს. რუსეთის XII არმიის ერთმა ნაწილმა შეუტია პოლონელთა კიევის ლაშქარს კედაროდან, ხოლო რუსების არმიის უმეტესი ნაწილი, კიევის ჩრდილოეთით, შეტევაზე გადავიდა და პოლონელებს ზურგიდან შეუტია ბოროდზიანკის მიმართულებით. იმავდროულად, რუსების XIV არმიიდან გამოყოფილმა იაკირის მებრძოლთა ჯგუფმა, გადალახა მდ. დნეპრი, კიევის სამხრეთით, ბიალი ცერკვის რაიონში და მეორე ფრონტიდან შეუტია კიევის ლაშქარს (იხილეთ რუკა №4). აღნიშნული ოპერაციის პარალელურად, ბუდიონის რაზმი მთელი თავისი ძალებით ეკვეთა პოლონელთა III და V არმიას, გაარღვია მისი ძალები და პოლონელთა III არმიის ზურგში მოექცა; ასე დაიპყრეს რუსებმა ბერდიჩოვის და ჟიტომირის რაიონები. რუსეთის არმიამ, ამასთანავე მიიღო ბრძანება, ზურგიდან შეუტია პოლონელთა კიევში განლაგებული ლაშქრისათვის, რისთვისაც შებრუნდა აღმოსავლეთისაკენ, თუმცა ბოლოს, სხვა ქალაქების აღება გადაწყვიტა და დასავლეთისაკენ დაიძრა. თავის მხრივ, პოლონეთის სარდლობამ გადაწყვიტა, რომ დარჩენილიყო კიევის რაიონში და დნეპრის დასავლეთ ნაპირზე მოეგერიებინა მტრის ძალების შემოტევა. ი. პილსუდსკიმ განიზრახა, პოლონეთის III და VI არმიას, დასავლეთისაკენ კონცენტრირებული შეტევით, მოესპონ ბუდიონის ცხენოსანთა ლაშქარი, რისთვისაც III არმიის უფროსს, უბრძანა ჟიტომირის მიმართულებით დაეხია. კავშირის უქონლობის გამო, პოლონეთის III არმიამ უკან დახევა მხოლოდ, 10 ივნისს დაიწყო, იმ დროისათვის, ჟიტომირი უკვე მტრის ხელში იყო, რის გამოც III არმიამ უკან დაიხია, კოზიატინის მიმართულებით. სამწუხაროდ, რუსებმა მათ აქაც მოუჭრეს გზა და პოლონელთა III არმია ბოროდზიანკასთან იძულებული გახდა, დასავლეთისაკენ მიმავალი გზა ბრძოლით გაერღვია. სწორედ, აქ იჩინა თავი ბუდიონის შეცდომამ, რომელმაც მთავარ სამიზნედ გეოგრაფიული პუნქტები აირჩია და პოლონეთის არმიის ცოცხალ ძალებთან შეტევა საჭიროდ არ მიიჩნია. ინიციატივა კვლავ რუსებს რჩებოდათ, ისინი უკან იხევდნენ, კიევზე შეტევის წინ დაკავებულ ხაზამდე. თავის მხრივ, პოლონეთის სარდლობამ სცადა ინიციატივის ხელში ჩაგდება და ბუდიონის ლაშქრის გასანადგურებლად შეტევაზე გადასვლა, მაგრამ რუსების მიერ მარცხენა ფრთაზე წარმატების მოპოვებამ, ხოლო მეორე მხრივ, ბუდიონის მიერ ფრონტის ხელახლმა გარღვევამ, პოლონეთის არმია აიძულა უკან დაეხია, როვნოს რაიონამდე. ივნისის ბოლო რიცხვებში, პოლონელთა მთელი უკრაინის ფრონტი განაგრძობდა უკან დახევას. მათგან განსხვავებით, III და IV არმია შედარებით ნელა იხევდა უკან. პოლონელთა ახლად შექმნილი II არმია, რომლის წინააღმდეგაც ბუდიონი მოქმედებდა, ღრმად იყო შესული დასავლეთის ფრონტისაკენ. ამ რაიონში პოლონელთა ფრონტის ახალი უფროსი გენერალი რიდზ-სმიგლი შეეცადა შეტევაზე გადასულიყო და გაენადგურებინა ბუდიონის ლაშქარი, თუმცა ამის განხორციელება მან ვერ მოახერხა. 5 ივნისს, ბუდიონმა დაიკავა როვნო და პოლონელთა VI და II არმიის ზურგში აღმოჩნდა. პოლონეთის არმიამ კვლავ უკან დაიხია, ასე რომ VI არმია იცავდა ლვოვის მიმართულებას, ხოლო II – კოველის მიმართულებას; პოლონელთა III არმიამ

სარნის მიმართულებით უკან დაიხია. ამასთანავე, II და VI არმიებს შორის კავშირი გაწყდა. 10 ივლისს, პოლონელთა ნაწილებს მდინარეების – სტირის და ზბრუჩის ხაზი ეკავათ. ჩრდილოეთის ფრონტზე კი უფრო დიდი მნიშვნელობის გადააღვილებები შეინიშნებოდა. მიუხედავად პირველად განცდილი მარცხისა, რუსეთის სარდლობას და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, სწორედ აღნიშნულ ფრონტზე სურდათ გენერალური ბრძოლის გამართვა. 4 ივლისს, რუსეთის 17 ქვეითი ჯარის ორი დივიზია და ცხენოსანთა ორი ბრიგადა ჩრდილოეთის ფრონტიდან ეკვეთა პოლონელების სამ ლაშქრად დარაზმულ ქვეითი ჯარის 10 დივიზიას და ცხენოსანი ჯარის ერთ ბრიგადას. პოლონელების ადგილობრივა კონტრშეტევებმა ვერ შეაჩერა რუსეთის ჯარის წინააღმდეგობა. რუსები წარმატებით ებრძონენ პოლონეთის I არმიის ორივე ფრთას (იხილეთ რუკა №5). პოლონეთის პირველი არმიის მეთაური იძულებული გახდა, 5 ივლისს, დაეწყო უკან დახევა, რომელიც ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: პოლონელთა მთავარმა ძალებმა უკან დაიხიეს სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოლოდებნოზე, ხოლო ორი დივიზია დასავლეთისაკენ, ვილნოს მიმართულებით გაემართა. იმავე დღეს, ბუდიონის ლაშქარმა როვნო დაიკავა და პოლონეთის მთელი ფრონტი ლატვიის საზღვრიდან, რუმინეთის საზღვრამდე გადასწია.

პოლონელი მთავარსარდლობისათვის ცხადი გახდა, რომ ადგილობრივი კონტრ-შეტევებით და მუდმივი უკან დახევით, მტერს ვერ დაამარცხებდა. მათ გადაწყვიტეს ჩამოშორებოდნენ მოწინააღმდეგეს, შეეწყვიტათ მასთან საბრძოლო შეხება და თავიანთი ძალები ახალი წინააღმდეგობის ხაზზე გადაეჯგუფებინათ, მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, რადიკალური ხასიათის საბრძოლო ოპერაციის განხორციელება. ამ მიზნით, მათ შეარჩიეს გერმანელთა ყოფილი ფრონტის ხაზი ვილნო-ლუნინეცის სივრცეზე, თუმცა მათ ვერც აქ მოახერხეს მტერთან შეხების შეწყვეტა. პოლონელთა IV არმიას, მის მარცხნივ მდგომი I არმია, აღნიშნულ ხაზზე, მნიშვნელოვნად დასცილდა, რუსებმა ამით ისარგებლეს და 14 ივლისს, მარცხნა ფრთიდან შეტევით, გაის ცხენოსანთა კორპუსმა მოახერხა ქალაქ ვილნოს დაკავება. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ პოლონელთა IV არმიამ სამხრეთის ხაზზე გადასვლა ვერც კი მოასწრო. აქედან დაწყებული, თვით ვარშავამდე, რუსები მთელი ძალებით უტევდნენ პოლონელთა მარცხნა ფრთას ჯერ ლიტვის და შემდეგ გერმანიის საზღვრების გასწროვ. რუსებმა განიზრახეს უკუეგდოთ პოლონეთის ჯარი პოლესიის უღრანი ჭაობებისაკენ. ამასობაში, პოლონეთის არმიამ გადმოლახა გერმანელთა ყოფილი ფრონტის ხაზი. მათი მიზანი იყო მდინარე ნემანის და შჩარას ხაზზე გამაგრება, იქედან კი შეტევის განხორციელება რუსების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, პოლონელებმა ვერც იქ მოახერხეს ფეხის მოკიდება. მაშინ, როდესაც პოლონეთის ჯარის ნაწილები ეფარებოდნენ ნემანის ხაზს, გაის ცხენოსანთა კორპუსმა, რომელიც გამუდმებით უკლიდა პოლონელთა მარცხენა ფრთას, 19 ივლისს, მოულოდნელი შეტევით დაიკავა გროდნო, რითაც გადმოლახა ნემანის ხაზი. 21 ივლისს, რუსებმა ასევე წარმატებით გადმოლახეს ნემანის ხაზის მარჯვენა ფრთაზე – მდინარე შჩარაც. შექმნილ სიტუაციაში, პოლონეთის

სარდლობამ გადაწყვიტა მორიგი შეტევა მდინარეების – ნარევის და ბუგის ხაზიდან განეხორციელებინა, აღნიშნულ ხაზზე გასამაგრებლად საჭიროდ ცნო შეიარაღებული ძალების სამხრეთის ფრონტიდან გადმოსროლა, რისთვისაც საჭირო იყო ბუდიონის შემოტევის შეჩერება. იმ დროისათვის, ბუდიონი, სამხრეთისაკენ გაემართა და ქალაქ ბროდის რაიონში იმყოფებოდა, იგი თავისი რაზმით ლვოვისაკენ მიემართებოდა და რავარუსკას და ლვოვის რკინიგზის გადაჭრას ცდილობდა. პოლონელთა არმიამ, გარკვეული გადაჯგუფების შემდეგ, ბუდიონის რაზმს ორივე ფრთაზე შეუტია და უკუაგდო. აღნიშნული შეტევის შემდეგ, ბუდიონის ჯარმა უკან დახევა დაიწყო და პოლონელების მოქმედებას სერიოზული გამარჯვების სახე მიეცა. მაგრამ მალე, 1 აგვისტოს, რუსებმა დაიპყრეს ბრესტი (ბრესტ-ლიტოვსკი) მდინარე ბუგზე, რის შემდეგაც გახსნილი იქნა სამხრეთის ფრონტის მარცხნა ფრთა. იმავე ხაზის განაპირა მარცხნა ფრთაზე გაის ცხენოსანმა კორპუსმა 3 აგვისტოს, ქალაქი ლომჟა დაიკავა და მეორე დღეს ქ. ოსტროლენკას მიადგა. ეს მოულოდნელი აღმოჩნდა პოლონეთის სარდლობისათვის, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. ამ რადიკალურმა ცვლილებებმა, პოლონელების მიერ, ბუდიონის წინააღმდეგ ასე კარგად დაწყებული შეტევა მნიშვნელოვნად შეაფერსა. მიუხედავად ამისა, პოლონელთა ნაწილების შეტევით, მტრის ცხენოსანი ლაშქარი უკუგდებული იქნა, რითაც აღდგა ტაქტიკური კავშირი პოლონეთის VI არმიასთან. შექმნილ სიტუაციაში, პოლონეთის სარდლობამ განიზრახა, გადამწყვეტი ბრძოლა მდინარე ვისლაზე ეწარმოებინა, ხოლო ამ ბრძოლისათვის სათანადო გადაჯგუფების ჩასატარებლად და დროის მოსაგებად, გადაწყვიტა მოწინააღმდეგის, რაც შეიძლება მეტი ხნით დაყოვნება აღნიშნულ ხაზზე. ამ მანევრით პოლონეთის სარდლობამ, ფაქტიურად ერთი კვირა მოიგო. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პოლონელთა არმიის ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთება ამაღლებულიყო. ამასობაში, პოლონეთის არმიის მთავარსარდალმა ჩამოაყალიბა თავისი განზრახვა: მან გადაწყვიტა ბუგის ხაზის დატოვება და შეუდგა გენერალური ბრძოლისათვის ჯარის გადაჯგუფებას. შემდგომი საომარი მოქმედებების გეგმა მხოლოდ პოლონელი სამხედრო ხელმძღვანელობის ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი.

საინტერესოა, როგორ აფასებდა შექმნილ სიტუაციას პოლონეთის ფართო საზოგადოება. უნდა ითქვას, რომ ხანგრძლივი უკან დახევა და მარცხი თავდაპირველად პოლონელი ხალხის გულგატეხილობისა და მღელვარების მიზეზად იქცა; მაგრამ შემდეგ, საომარი მდგომარეობის უაღრესად გამწვავებამ და ეროვნული უბედურების მოახლოვებამ, პოლონელ ერში სულიერი გარდატეხა და მობილიზება მოახდინა. მდინარე ბუგზე წარმოებული ბრძოლის დროს, ერს გამოღვიძება და თავდადებული ბრძოლის სურვილი დაეტყო. პოლონეთის თავდაცვის საბჭო შეუდგა მოხალისეთა ფრონტზე გაწვევას, მათმა რიცხვმა 80. 000 მიაღწია. ეს ძალები ძირითადად გამოყენებული იქნა ფრონტზე არსებული ნაწილების შესავსებად.

რაც შეეხება, პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობას, ის იმ დროისათვის, ძალზე რთული იყო. ინგლისმა თავიდანვე არასაიმედო პოზიცია

დაიკავა. უფრო მეტიც, პოლონეთისადმი მისი დამოკიდებულება შეიძლება ითქვას, მტრულ ხასიათს ატარებდა. რაც შეეხებოდა საფრანგეთს, იგი პოლონეთს დიდი სიმპატიით უყურებდა და მატერიალურ დახმარებასაც უწევდა, თუმცა აშკარა იყო, რომ თუ პოლონელი ხალხი თავის სახელმწიფოებრიობას თვითონვე ვერ შეინარჩუნებდა, სხვისი იმედი ვერ ექნებოდა. საფრანგეთის მხარდაჭერის მიუხედავად, ვერსალის ზავით, პოლონეთს დაუბრუნდა ბალტისპირეთის სანაპიროს მხოლოდ მცირე ნაწილი დანცინგის (გდანსკის) გარეშე; იგი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა. პოლონეთს გადაეცა აღმოსავლეთ პრუსიის მცირე ნაწილი, ხოლო დიდი ნაწილი კვლავ გერმანიას დარჩა. პოზნანის აღმოსავლეთ ნაწილის პოლონეთისათვის გადაცემას, ვერსალის კონფერენცია მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, როდესაც იქ მცხოვრები პოლონელების აჯანყებების შედეგად (1918 წლის დეკემბერი, 1919 წლის იანვარი), გერმანელები გაძევებულნი იქნენ პოლონეთიდან. ზემო სილეზიაში, ვერსალის ზავით გათვალისწინებული იყო პლებისციტის ჩატარება დიდი სახელმწიფოების კონტროლის ქვეშ, თუმცა სილეზიელთა სამი დიდი აჯანყების შედეგად (1919, 1920, 1921 წლები), ერთა ლიგის გადაწყვეტილებით, ზემო სილეზია ორად გაიყო: აღმოსავლეთ ნაწილი მიეკუთვნა პოლონეთს, დასავლეთი კი კვლავ გერმანიის ხელში დარჩა. ინგლისის მაშინდელი საგარეო საქმეთა მონისტრი, ლოიდ ჯორჯი, გერმანიის დასუსტების ხარჯზე პოლონეთის გაძლიერების წინააღმდეგი იყო. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად, პოლონეთმა ვერ დაიბრუნა დაახლოებით 100 000 კმ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორია, რომელიც კვლავ გერმანიის ხელში რჩებოდა მრავალმილიონიანი პოლონური მოსახლეობით. პოლონეთმა, მართალია, მიიღო ზღვაში გასასვლელი 70 კილომეტრიანი ვიწრო ზოლით, ე.წ. „დანცინგის კორიდორის“ მეშვეობოთ, მაგრამ პოლონეთს უარი უთხრეს დანცივზე, რომლის გარეშე მისი პოზიცია ზღვაზე არამყარი იყო. გერმანიას დარჩა პოლონეთის თითქმის მთელი ზღვისპირეთი და სილეზის მნიშვნელოვანი ნაწილი. ისიც უნდა ითქვას, რომ გერმანიამ, ლიტვამ და ჩეხოსლოვაკიამ პოლონეთისადმი მტრული პოზიცია დაიკავეს. მათი მხრიდან, არც შეიარაღებული ინტერვენცია იყო გამორიცხული, რაც კიდევ უფრო ართულებდა პოლონეთის ისედაც მძიმე მდგომარეობას. ჯერ კიდევ 1919 წლის დეკემბერში, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ, პოლონეთს აღმოსავლეთ საზღვრად მდინარე ნარევი და ბუგის ხაზი დაუდგინა. ვარშავის ბრძოლის დღეებში, მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო პოლონეთს აიძულებდა მიეღო მათ მიერ ნაკარნახევი ზავის პირობები, რომელიც ინგლისმა, ლოიდ ჯორჯის მეთაურობით, შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: პოლონეთის არმიას უკან უნდა დაეხია მდინარეების ნარევისა და ბუგის ხაზზე, ლიტვისათვის დაუყოვნებლივ უნდა გადაეცა ქ. ვილნო, სამხედრო მოქმედებები შეწყდებოდა ბრძოლის ხაზზე, ამასთანავე პოლონეთი უნდა დამორჩილებოდა უმაღლესი საბჭოს დადგენილებებს: სილეზის, ლიტვის, გალიციის და ჩეხოსლოვაკიის საზღვრების საკითხებში. მხოლოდ, აღნიშნული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, ლოიდ ჯორჯი პირად შუამდგომლობას სთავაზობდა პოლონეთს და თუ

რუსეთი ამ პირობებს არ მიიღებდა, მაშინ ანტანტა პოლონეთს, შესაძლებლობის ფარგლებში, მატერიალურ დახმარებას გაუწევდა.

უკიდურესად გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციაში პოლონეთის ჯარის მთავარსარდალი და მთავრობის ხელმძღვანელი – იოსებ პილსუდსკი ნათლად ხედავდა, რომ პოლონეთის ბედი თავგანწირული ბრძოლით უნდა გადაეწყვიტა მხოლოდ და მხოლოდ თითოეულ პოლონელ ჯარისკაცს.

პოლონეთის სარდლობა შეუდგა ვარშავის ბრძოლის გეგმის განხორციელებას. ევროპა შორიდან უცქეროდა პოლონეთში შექმნილ სიტუაციას, მათი სააგენტოები აქვეყნებდნენ ცნობებს, თითქოს ვარშავა რუსებმა დაიპყრეს. პოლონეთის სარდლობას სრულ ნდობას უცხადებდა საკუთარი ხალხი, რომელიც გრძნობდა, რომ ქვეყნისთვის ასეთ მძიმე წუთებში, როდესაც დგება მისი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი, მთელი პასუხისმგებლობა მის სარდლობას აწვება კისერზე. საბერძნიეროდ, პოლონელი ერისთვის იმ მძიმე წუთებში ქვეყნას იოსებ პილსუდსკის სახით, გამოუჩნდა ლირსეული შვილი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა და საკუთარი ქვეყნის წინამდლოლობა. პოლონეთის მთავარსარდალმა ვარშავის ბრძოლის გეგმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: მას სურდა ჩრდილოეთის ფრონტი უკან გადმოეწია, მდინარეების – ვისლის და ვეპშის ნაპირებზე. აღნიშნული ფრონტის მარცხენა ფრთიდან პოლონეთის ჯარს უნდა მოეგერიებინა მტერი ვარშავის ჩრდილოეთით მდინარე ნარევის და ოჟიცის დასავლეთ ნაპირებზე ისე, რომ ამ მდინარეებზე ყველა გადასასვლელი შეენარჩუნებინა. ვარშავის რაიონის დაცვა უნდა მომზდარიყო ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე, ფართე ხიდის საფარის საშუალებით. პოლონელ ჯარისკაცებს ვარშავის სამხრეთიდან დემბლინამდე (ივანგოროდი) უნდა დაეცვათ მდინარე ვისლას დასავლეთ ნაპირი. იმავდროულად, მდინარე ვეპშის სამხრეთ ნაპირზე შეკრებილი ჯარისკაცები კიბისებურად, სწორი კუთხით იქნებოდნენ მიმართულნი ვარშავის წინააღმდეგ მებრძოლი რუსებისადმი. პოლონელ ჯარისკაცთა აღნიშნული ჯგუფი მოულოდნელად უნდა გადასულიყო შეტევაზე, და თითქმის 60 კილომეტრიანი სიღრმით შეჭრილიყო მტრის რაზმში. მარჯვენა ფრთიდან, მათ დახმარებას სამხრეთის ფრონტის (ყოფილი უკრაინის ფრონტის) ჯარისკაცები გაუწევდნენ. ი. პილსუდსკის გეგმა მიზნად ისახავდა ომის შედეგების რადიკალურ შეცვლას პოლონეთის სასარგებლოდ. აღნიშნული გეგმის რეალურად განსახორციელებლად საჭირო იყო საკუთარი ინიციატივით მდინარე ბუგის ფრონტიდან პოლონეთის ჯარის უკან დახევა, ჯარის ნაწილის გადაყვანა ბრძოლის ახალ ხაზზე და მათი ხელახლი გადაჯგუფება. პოლონეთის მთავარსარდლის განზრახვის სისრულეში მოყვანას წინ ეღობებოდა შემდეგი სიძნელეები: პოლონელების ბუგის ხაზიდან უკან დახევის ბუნებრივ გზას ვარშავა-მოდლინის (ნოვოგიორგიევსკი) მიმართულება წარმოადგენდა მაშინ, როდესაც საჭირო იყო ამ ნაწილების სამხრეთ (დემბლინ-კოცკის) რაიონში შეკრება. პოლონეთის ჯარისკაცთა უდიდესი ნაწილის ძირითად დამრტყელ ჯგუფში თავმოყრას ართულებდა ის გარემოება, რომ ყველა თვალსაზრისით, აუცილებელი იყო ვარშავის დაცვა, რომლისკენაც მიიღოტვოდა რუსეთის

მთავარი შეიარაღებული ძალები. ამასთანავე, შეუძლებელი იყო სამხრეთის ფრონტის ძალების შემცირება, ვინაიდან აღმოსავლეთიდან მას უნდა მოეგერიებინა მტრის შემოტევა. პოლონეთის მთავარსარდლის გეგმის სისრულეში მოსაყვანად ბრძანება გაიცა 1920 წლის 6 აგვისტოს და ჯარისკაცებმა იმ დღესვე დაიწყეს მისი განხორციელება.

საინტერესოა, რა ხდებოდა იმ დროს ფრონტის მეორე ხაზზე, ანუ მოწინააღმდეგის ბანაკში. რუსეთის მიზანი აშკარა იყო. მიუწედავად საზავო მოლაპარაკებისა და საერთო პოლიტიკური სირთულეებისა, რუსეთს სურდა პოლონეთის შეიარაღებული ძალების განადგურება და საერთოდ ქვეყნის პოლიტიკური არსებობის მოსპობა. რუსეთის შეიარაღებული ძალები წინ მიიწევდნენ და ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი მალე მათ სასარგებლოდ დამთავრდებოდა. მდინარე ბუგზე წარმოებული მწვავე ბრძოლიდან, რუსეთის ჩრდილოეთის ფრონტის უფროსმა მიხეილ ნიკოლოზის ძე ტუხაჩევსკიმ გამოიტანა დასკვნა, რომ პოლონეთის მთავარი ძალები თავს იყრიდნენ ვისლის, ნარევის და ბუგის შესართავთან და შესაბამისად იქ იქნებოდა ბრძოლის მთავარი კერა. მან პოლონელთა აღნიშნული ძალების ჩრდილოეთიდან შემოვლით, განიზრახა მათი ზურგიდან განადგურება. დასახული მიზნის განსახორციელებლად მას უნდა გადაელახა მდინარე ვისლის ქვემო ნაწილი, გადაეჭრა პოლონეთ-ბალტიის გზები და პოლონეთის არმიის ზურგში მოქცეულიყო. მ. ტუხაჩევსკიმ რუსეთის ძალების უდიდესი ნაწილი ვარშავის ჩრდილოეთით მდებარე სივრცით დასავლეთისაკენ მიმართა და მოდლინ-ვლოცლავების შუა მოინდომა მდინარე ვისლის გადალახვა. ბუგის სამხრეთით, ვარშავისა და შუა ვისლისაკენ, მხოლოდ რუსების XVI არმია და მოზირის\* ჯგუფი განლაგდა. აღნიშნული მანევრის შედეგად, რუსების ჩრდილოეთის და სამხრეთის ფრონტი ერთმანეთს მნიშვნელოვნად დაშორდა, რის გამოც მათ შორის ცარიელი სივრცე შეიქმნა. სწორედ, ამ ცარიელ ადგილებში კრებდა მთავარ ძალებს პოლონეთის მთავარსარდალი ი. პილსუდსკი, რათა რუსებისათვის სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა. მ. ტუხაჩევსკი გრძნობდა ამ სიცარიელის საფრთხეს და აღნიშნულ ადგილებში განლაგებისაკენ მოუწოდებდა სამხრეთის ფრონტის XII და ბუდიონის არმიას, რომლებიც იმ დროისათვის მის უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდნენ. რაც შეეხება ბუდიონს, იგი ძველებურად ლვოვისაკენ მიემართებოდა. რუსეთის XII არმიიდან კი, ჩრდილოეთისაკენ, მხოლოდ ერთი დივიზია დაიძრა. რუსეთის სარდლობის ამ მოქმედებამ, პოლონეთის სარდლობას ბევრად გაუადვილა დასახული გეგმის განხორციელება. ბრძოლის ბედი დამოკიდებული იყო უკან დახევის გეგმაზომიერ განხორციელებაზე. მცირე გამონაკლისის გარდა, უკან დახევა პოლონეთის სარდლობის გეგმით წარიმართა, რადგან მხოლოდ ფრონტის მარცხენა ფრთაზე, ჩრდილოეთით, მდგომა ნაწილებმა ვერ გაუძლეს რუსების შეტევას. სარდლობის მიერ დადგენილი დროის განმავლობაში რუსეთის არმიამ გზა გაარღვია და გაემართა დასავლეთისაკენ პშაშნიშ (პრასნიში)-ცეხანოვლიპნისკენ. სამხრეთის ფრონტზე ბრძოლაში ჩაბმულმა პოლონეთის ლეგიონების I და III დივიზიებმა წარმატებით გაართვეს თავი საკმაოდ რთულ

ამოცანას: თავდადებით შეუტიეს მტერს და დაამარცხეს იგი, რითაც მოიპოვეს შემდგომი მოქმედების თავისუფლება. ამის შემდეგ, პოლონელმა ჯარისკაცებმა გეზი ჩრდილოეთისაკენ, ახალი დანიშნულების ადგილისაკენ აიღეს. I დივიზია რკინიგზის ტრანსპორტით გადაადგილდა, ხოლო III – სალაშქრო წესით. 12 აგვისტოსათვის, პოლონეთის ჯარი შემდეგნაირად განლაგდა: ჩრდილო-დასავლეთით, უკიდურეს მარცხენა ფრთაზე ტორუნიდან ვიშეგროდამდე, მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირს შედარებით სუსტი, სათადარიგო და მოხალისეთა ერთეულების ნაწილები იცავდნენ; მათთან ერთად იმყოფებოდა რეორგანიზაციის მდგომარეობაში მყოფი XX დივიზია. აღნიშნულ ნაწილებს მდინარე ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე ჰქონდათ სპეციალური საფრები. მოდლინის რაიონში შეიკრიბა პოლონელთა V არმია. მართალია, ამ ნაწილის ჯარისკაცთა შეგროვება საბოლოოდ ჯერ არ იყო დამთავრებული, თუმცა ისინი მტერთან მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ. აღნიშნული ჯარის შემადგენლობაში შედიოდა: ქვეითი ჯარის ოთხი დივიზია, ერთი ბრიგადა და ერთი ცხენოსანი რაზმი. ვარშავის ხიდის საფარზე შეიკრიბა პოლონეთის I არმია, რომლის შემადგენლობაშიც იყო ერთი ქვეითი დივიზია და ერთი სათადარიგო ბრიგადა. გარდა ამისა, მას ასევე თადარიგში ჰყავდა ერთი ქვეითი ჯარის დივიზია, ხოლო ზურგში, დამატებით კიდევ ერთი დივიზია მთავარსარდლის რეზერვიდან. აღნიშნული ლაშქრის მარჯვენა ფრთა დაბა კარჩევთან ეყრდნობოდა მდინარე ვისლის აღმოსავლეთ ნაპირს. კარჩევიდან დემბლინამდე მდინარე ვისლის დასავლეთ ნაპირზე კი იდგა პოლონეთის I არმია, რომლის შემადგენლობაშიც მხოლოდ ქვეითი ჯარის ორი დივიზია შედიოდა. აღნიშნულ ძალებს იმ მომენტისათვის მტერთან შეხება არ ჰქონდათ. ზემოთ ჩამოთვლილი პოლონეთის არმიის ნაწილების სამხრეთით, მათი ფრონტის თითქმის სწორი კუთხის საწინააღმდეგოდ, მდინარე ვეშპის სამხრეთ ნაპირზე, რუსეთის არმიაზე ზურგში დარტყმის მისაყენებლად იკრიბებოდა პოლონეთის IV არმია, რომლის ნაწილებს ვეშპის ჩრდილოეთ ნაპირზე ყველა სტრატეგიული გადასასვლელი ეჭირათ. იმავდროულად, პოლონეთის IV არმია ჯერ კიდევ გადაჯგუფების პროცესში იმყოფებოდა, რომლის წინააღმდეგ, მისივე ფრონტის პარალელურად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, დემბლინის მიმართულებით, სრულიად ღია ფრთით მიემართებოდა რუსეთის არმიის მოზირის ჯგუფის ერთეულები. IV არმიის მარჯვენა ფრთიდან, თითქმის სწორი კუთხით, ფრონტი თავიდან ბრუნდებოდა სამხრეთისაკენ, სადაც პოლონეთის III არმია იდგა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ქვეითი ჯარის ორი დივიზია, ერთი ბრიგადა და ორი პატარა ჯგუფი. მათგან სამხრეთით, სამხრეთის ფრონტის (ყოფილი უკრაინის) ნაწილები იბრძოდნენ. კერძოდ, სამ დივიზიანი VI არმია, რომლის შემადგენლობაში იყო ასევე, ერთი ცხენოსანი დივიზია და უკრაინელთა ნაწილები. ვარშავის ბრძოლის მთელი ხაზი სამ ნაწილად იყო გაყოფილი. მარცხენა ფრთიდან დემბლინამდე, ჩრდილოეთის ფრონტს განაგებდა გენერალი იოსებ ჰალერი. დემბლინიდან ბროდამდე, ცენტრალურ ფრონტს, განაგებდა გენერალი რიდზ-სმიგლი. ბროდიდან დანარჩენ ნაწილს, ანუ სამხრეთის ფრონტს, განაგებდა გენერალი ივაშკევიჩი. აქვე საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ

პოლონეთის არმიის მთავარსარდალმა ქვეყნის შეიარაღებული ძალები მიზანმიმართულად გაანაწილა სხვადასხვა ფრონტებზე. პოლონეთის არმიის განკარგულებაში იმყოფებოდა ოცდაერთი დივიზია და ერთიც უკრაინელების დივიზია. აქედან გადამწყვეტ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ცხრამეტი დივიზია. დანარჩენი სამი დივიზია, დიდი მნიშვნელობის მქონე, თუმცა მეორე ხარისხოვან ფრონტზე იბრძოდა. მთავარი ფრონტის ცხრამეტი დივიზიიდან, მხოლოდ სამი აწარმოებდა ძირითად მოქმედებებს, დანარჩენ თექვსმეტს კი გარდატეხა უნდა შეეტანა საბრძოლო ოპერაციებში. შეიძლება ითქვას, რომ ძალების ასეთი გადანაწილება, იმ დროისათვის, ევროპის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლების ისტორიაში იშვიათი იყო.

რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ დროისათვის რუსეთის შეიარაღებული ძალები? რუსების მარჯვენა ფრთაზე, გაის ცხენოსანი კორპუსი სერუცის რაიონში შემოტრიალდა ვისლისაკენ და ვლოცლავეკის და ნეშავას ხიდებისაკენ გაემართა. IV არმიის ერთი დივიზია გაჩერდა დზიალდოვის რაიონში, ფრონტით დასავლეთისაკენ, ხოლო ჯარის დანარჩენი ნაწილი შემოტრიალდა რაციონუის რაიონში და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მდინარე ვისლისაკენ გაეშურა. რუსების XV არმიამ ცეხანოვი დაიკავა და პოლონელთა V არმიას უტევდა მოდლინის მიმართულებით. პოლონელთა V არმიას, იმავე მხრიდან უტევდა რუსების I არმიაც, რომლის მარცხენა ფრთის დივიზია და XVI არმიის მარჯვენა ფრთის დივიზია ერთდროულად უახლოვდებოდნენ ვარშავის ხიდის საფარის. ამასთანავე, რუსეთის XVI არმიის დანარჩენი ნაწილები პოლონელების ხაზიდან დაახლოებით ერთი დღის სავალ მანძილზე იყვნენ დაშორებულნი. მათგან სამხრეთით, პოლონელების IV არმიის ფრონტის წინ, დასავლეთის მიმართულებით, მოზირის ჯგუფის ნაწილები მიიწევდნენ, ხოლო სამხრეთით, რუსების XII არმია გადადიოდა მდინარე ბუგზე ვლოდავისა და ხელმს შორის (იხილეთ რუკა №6). ამასობაში, ბუდიონის ცხენოსანი ლაშქარი ბროდის რაიონიდან და რუსების XIV არმია მდინარე სტრიპაზე ერთდროულად უტევდნენ პოლონელების VI არმიას.

ი. პილსუდსკის მიზანი იყო, რომ რუსების შეიარაღებული ძალები ვარშავის მიმართულებით რაც შეიძლება მეტად ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში, რათა აქ მათ მეტი ზიანი მიეღოთ, ამასთანავე საომარი მოქმედებისას, გამოეყენებინათ რაც შეიძლება უფრო მეტი მაშველი ძალა. მთავარსარდლის აზრით, ამით რუსების სარდლობა დაკარგავდა უნარს წინააღმდეგობა გაეწია სამხრეთიდან პოლონელთა შემოტევაზე. 12 აგვისტოს, საღამოს, ი. პილსუდსკი თავად გაემგზავრა სამხრეთის რაიონში, რათა პირადად ეხელმძღვანელა იქ განთავსებული პოლონელთა არმიის დარაზმვისა და მოქმედებათა გეგმის სისრულეში მოყვანისათვის.

ამასთანავე, მან გადაწყვიტა სამხრეთის ფრთიდან შეტევა დაეწყოთ 17 აგვისტოს, დილით. ასე დაიწყო ვარშავის ბრძოლა. ქრონოლოგიურად ბრძოლა შემდეგნაირად წარიმართა: 13 აგვისტოს, რუსების XVI არმიის ორმა დივიზიამ, ერთდროული შეტევა განახორციელა ვარშავის ხიდის საფარზე, გაარღვია მისი პირველი ხაზი, დაიკავა დაბა რაბიმინი და მიადგა ფრონტის მეორე ხაზს.

აღნიშნულ ხაზს წარმოადგენდა გერმანელების მიერ, მსოფლიო ომის დროს აშენებული ვარშავის ხიდის საფარი. შექმნილმა გარემოებამ, პოლონეთის I არმიის სარდალი აიძულა, ბრძოლის პირველსავე დღეს, სამხედრო მოქმედებებში ჩაება ჯერ კიდევ რეორგანიზაციის პროცესში მყოფი მაშველთა რაზმი. ამასთანავე, ფრონტის უფროსმა გასცა ბრძანება, V არმია დაუყოვნებლივ გადსულიყო შეტევაზე. 14 აგვისტოს, უკვე პოლონელთა I და V არმიის მთელ ფრონტზე მწვავე ბრძოლები მიმდინარეობდა. 15 აგვისტოს, ხიდის საფარზე, პოლონელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. დაბა რაძიმინი მძიმე ბრძოლაში რამოდენიმეჯერ ხელიდან ხელში გადავიდა. ბოლოს, პოლონელებმა მოახერხეს მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება. 16 აგვისტოს, დილით რუსები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე, თუმცა იმ დროს ომის ბედი პოლონელთა სულ სხვა ფრონტზე გადაწყდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 14 აგვისტოს, დილით, შეტევაზე გადავიდა პოლონეთის V არმია. პირველი ორი დღის განმავლობაში საკმარის უმნიშვნელო შედეგები იქნა მიღწეული. მხოლოდ 16 აგვისტოს, პოლონელთა ორი ფრთიდან კონცენტრირებული შეტევით, დაბა ნასელკის რაიონში მოპოვებული იქნა მნიშვნელოვანი წარმატება. აქედან პოლონელებმა პულტუსკის და სეროცკის მიმართულებით შეუტიეს რუსებს. ვარშავის ხიდის საფარზე ბრძოლის გართულების და რუსების მარჯვენა ფრთის დასავლეთისაკენ სწრაფი წინსვლის გამო, პოლონეთის მთავარსარდალმა გადაწყვიტა დაეჩქარებინა მთავარი ჯგუფის მოქმედება და შეტევაზე, ერთი დღით ადრე გადასულიყო. 16 აგვისტოს, დილით შეტევაზე გადავიდა პოლონელთა IV არმია. ქვეითი ჯარის ოთხი დივიზია და ცხენოსანთა ერთი ჯგუფი დიდი სიჩქარით მიიღებდა წინ, ჩრდილოეთისაკენ, რუსების ოთხი არმიის ღრმა ზურგის მიმართულებით. პოლონეთის IV არმიის მოქმედებას, აღმოსავლეთიდან, იცავდა ერთი დივიზია, რომელიც მდინარე ბუგის გასწვრივ ბრესტისაკენ მიემართებოდა. იმავე დღეს, ვარშავის ხიდის საფარის სამხრეთი ფრთის ნაწილებმა ტანკებით შეუტიეს ვარშავა-მინსკის გზატკეცილს. პოლონელთა IV არმიის ერთეულები დიდი სისწრაფით მიიღევდნენ წინ. მათ მხოლოდ რუსეთის არმიის მოზირის ჯგუფის უსისტემო ერთეულები უწევდნენ უმნიშვნელო წინააღმდეგობას. პოლონელთა IV არმიის წინსვლასთან ერთად, თავისუფლდებოდნენ მდინარე ვისლის დასავლეთ ნაპირზე მდგომი II არმიის დივიზიები, რომლებიც პოლონეთის მთავარსარდლის მაშველ ძალებში გადავიდნენ. 17 აგვისტოს, პოლონეთის არმიამ გადაჭრა ვარშავა-სედლცეს რკინიგზა, რის შემდეგაც მათ გაანადგურეს რუსების XVI არმიის მარცხნა ფრთა. ქ. მინსკში (პოლონეთის ქალაქი, ვარშავასთან ახლოს) მოხერხდა პოლონეთის I და IV არმიის დაკავშირება. იმავე დღესვე, ნათლად გამოიკვეთა ბრძოლისა და მასთან ერთად მთლიანად ომის ბედის მნიშვნელოვანი გარდატეხა. თავიდან რუსების ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის უფროსი ფიქრობდა, რომ მოახერხებდა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მოვლენათა ვითარებას მთლიანად აკონტროლებდა პოლონეთის სარდლობა. რუსების XVI, III და XV არმიის ნაწილები ერთიმეორებში არეულნი, უწესრიგოდ იხევდნენ უკან, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. საერთო უკან დახევის ფონზე, რუსეთის IV

არმია და გაის ცხენოსანი კორპუსი მედვრად განაგრძობდნენ წინსვლას, მათ ზურგიდან შემოუარეს პოლონელთა V არმიას. პოლონეთის სარდლობა ჯარის გადაჯგუფებას შეუდგა. მთავარსარდალმა, ი. პილსუდსკიმ, გადაწყვიტა, მტრისათვის გზა მოქრა ბრესტ-ბიალისტოს-ოსოვეცის ხაზზე და აღნიშნულ სივრცეში ჩაეკეტა იგი. საბოლოოდ, უნდა მომხდარიყო რუსეთის შეიარაღებული ძალების უკუგდება გერმანიის საზღვრებზე და მათი განადგურება. ამ მიზნით, ხელახლა იქნა შედგენილი პოლონეთის II არმია, რომელიც თავის მხრივ, ქვეითი ჯარის ოთხი დივიზიის, ცხენოსანი ჯარის ერთი ბრიგადისა და სხვა პატარა ნაწილებისაგან შედგებოდა. მისი ძირითადი დანიშნულება იყო მტრის დევნა ბიალისტოკის მიმართულებით და მარჯვენა ფრთაზე, ბრესტის დაკავება. პოლონეთის IV არმიას, ორი დივიზიის შემადგენლობით დაევალა მტრის დევნა პირდაპირ ჩრდილოეთის მიმართულებით, რათა რუსეთის ჯარის გზაბნეული ნაწილები აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებთან მიემწყვდიათ. პოლონეთის პირველ არმიას, ორი დივიზიის შემადგენლობით, უშუალოდ ვარშავა-ლომჟის ხაზით, დაევალა მტრის დევნის წარმოება. პოლონელთა V არმიას კი, რუსეთის არმიის გაის ცხენოსანი კორპუსის, ასევე IV და XV არმიის ნაწილების ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა.

პოლონეთის მთავარსარდლის გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. ი. პილსუდსკის, გაის ცხენოსანი კორპუსისა და რუსების IV არმიის განადგურებაზე, პოლონელთა V არმიაზე მეტი ძალების დაბანდება არ სურდა, დანარჩენი ძალები კი, მთავარსარდალს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ უნდა წარემართა. ვარშავის ბრძოლებში გამოვლილი პოლონელთა I არმიაც, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გაემართა და რუსეთის V არმიის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში ჩაერთო. რუსების III და XV არმიის ნაწილებმა აღმოსავლეთისაკენ გაქცევა ვერ მოახერხეს. რუსების XVI არმია, რომელსაც პოლონელების შეტევა პირველს დაატყდა თავს, სრულიად განადგურდა. რუსეთის III და XV არმიის ნაწილები, ზოგი ბრძოლით იკაფავდნენ გზას, ზოგიც პრუსიის საზღვრის გასწვრივ, ოსოვეც-გრაევოს გზით, მიიპარებოდა აღმოსავლეთისაკენ. იმავდროულად, რუსების გაის ცხენოსანი კორპუსი და IV არმია ჯერ კიდევ შეტევას აწარმოებდნენ პოლონელების წინააღმდეგ. 19 აგვისტოს მათ დაიპყრეს ქ. პოლოცკი და მდინარე ვისლის გადალახვას ცდილობდნენ. რუსებმა უკან დახევა მხოლოდ 21 აგვისტოს დაიწყეს, როდესაც XV და III არმიის ნაწილები ლომჟა-ბიალისტოკს სცილდებოდნენ. რუსებს, 22 აგვისტოს, მლავასთან ბრძოლით მოუხდათ პოლონელთის V არმიის ნაწილების მიერ გადაჭრილი გზის გარღვევა. იგივე განმეორდა ხოუელთან. 25 აგვისტოს, რუსებმა პოლონეთის IV არმიის შეტევას ვეღარ გაუძლეს, და მთელი შემადგენლობით გადავიდნენ გერმანიის ტერიტორიაზე, სადაც იარაღი დაყარეს. პოლონეთის არმიის ჯარისკაცებმა წარმატებით განახორციელეს მტრის დევნა. პოლონეთის პირველი დივიზიის ჯარისკაცებს, თერთმეტი დღის მანძილზე, დღეში საშუალოდ 40 კილომეტრის გავლა ბრძოლით უხდებოდათ. მეთერთმეტე დღეს კი, მათ 60 კილომეტრი გაიარეს. მოპოვებული გამარჯვების შესანარჩუნებლად, პოლონეთის სარდლობამ მიზნად დაისახა მტრის საბოლო

მოსპობა, რისთვისაც საჭირო იყო მტრის ბოლომდე დევნა, ამასთანავე, პოლონური საჯარისო ერთეულების დიდი გამძლეობა.

რა ხდებოდა ამ დროს რუსეთ-პოლონეთის ფრონტის სამხრეთით?

სახელგანთქმული ბუდიონის ცხენოსან და რუსეთის XII არმიის ნაწილებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩრდილოეთისაკენ აეღოთ გეზი და პოლონელთა მეწინავე არმიის ზურგში მოქცეულიყვნენ. პოლონეთის მთავარსარდალმა, ი. პილსუდსკიმ გაითვალისწინა რუსების ეს შესაძლებლობა და სათანადო ზომებიც მიიღო. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩრდილოეთის ფრონტზე, რუსეთის ორივე ეს არმია გენერალ მ. ტუხაჩევსკის ექვემდებარებოდა. მ. ტუხაჩევსკი არმიის ნაწილებს დაუინებით მოუწოდებდა, ენერგიულად შეეტიათ ჩრდილოეთის მიმართულებით. ამ ბრძანების მიუხედავად, 20 აგვისტოს, ბუდიონი ჯერ კიდევ ქ. ლვოვის მიდამოებში უტევდა პოლონელებს. ვარშავის ბრძოლის დროს, ბუდიონმა კარგად იცოდა, რომ ომის ბედის გადამწყვეტი მოქმედებები ჩრდილოეთის ფრონტზე უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ქ. რუვნოს აღების შემდეგ, ბუდიონმა მიმართულების არჩევის სრული თავისუფლება მოიპოვა, მაინც სამხრეთი აირჩია და ქ. ლვოვისაკენ გაეშურა. რაც შეეხება ჩრდილოეთის ფრონტზე მყოფ რუსეთის XII არმიას, მისმა ჯარისკაცებმა ქ. ლუბლინის მიმართულებით დაიწყეს შეტევა და პოლონეთის მეწინავე არმიის ზურგში მოქცევას ცდილობდნენ. ბუდიონის რაზმი ქალაქ ზამოსცისკენ გაემართა. რუსების ამ ძალებს წინ აღუდგა პოლონელთა შედარებით სუსტი, სამ დივიზიანი III არმია. აღნიშნული ძალების გასაძლიერებლად, პოლონეთის მთავარსარდალმა, ჩრდილოეთის ფრონტიდან გათავისუფლებული ორი დივიზია გაგზავნა თავისი საკუთარი მაშველი ჯარიდან. ერთი დივიზია უკვე გზაში იყო და რკინიგზის ტრანსპორტით მიემართებოდა, მეორე კი ჯერ დატვირთულიც არ იყო მატარებელზე. 27 აგვისტოს, ბუდიონი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა. გზაზე მან უკუაგდო პოლონელთა ნაწილები და ქალაქ ზამოსცს მიადგა. იმ დროს, ზამოსცში იმყოფებოდა პოლონელთა მხოლოდ ქვეითი ჯარის ერთი პოლკი, ორი საეტაპო და ერთი სადარაჯო ათასეული, ასევე, უკრაინელთა ერთი დივიზია, არტილერიის ერთი დივიზიონი და ორი ჯავშნოსანი მატარებელი. ეს ნაწილები, თითქმის ყოველი მხრიდან იქნა გარშემორტყმული ბუდიონის მიერ. მიუხედავად ამისა, პოლონელთა გარნიზონი თავგამოდებით იბრძოდა. აღნიშნულ სამხედრო ოპერაციას, ბუდიონისათვის არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ნაცვლად იმისა, რომ ქ. ზამოსცისათვის თავი დაენებებინა და მ. ტუხაჩევსკის ბრძანების თანახმად, ჩრდილოეთისაკენ წასულიყო, ბუდიონი უაზრო სიჯიუტით ემგერა ამ ქალაქს და სრულიად უმიზნოდ ჩაება ბრძოლაში. ამით ისარგებლა პოლონეთის სარდლობამ და სათანადო მანევრით უპასუხა ბუდიონის შეტევას. გენერალ სტანისლავ პალერის ჯგუფი, რომელმაც ბუდიონის ლაშქარი ფრონტალური ბრძოლით ვერ შეაჩერა, ფეხდაფეხ ზურგიდან დაედევნა მას. იმავდროულად, ქ. ზამოსცის ჩრდილოეთით, ქ. კრასნისტავთან, იკრიბებოდა ტრანსპორტით გადმოყვანილი პოლონეთის მაშველი დივიზია, რომელიც დაიძრა ქ. ზამოსცისაკენ. პოლონელთა მეორე მაშველმა დივიზიამ, რუსებს ჩრდილოეთიდან შეუტია. ამრიგად, ბუდიონის ცხენოსანი

რაზმი ხაფანგში მოექცა. ერთადერთი გამოსავალი უკანდახევა იყო. ბუდიონმა, პოლონელთა ძლიერი ზეწოლის ქვეშ, გადალახა მდინარე ბუგი და მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე გადავიდა. ბუდიონის რაზმის უკუგდების შემდეგ, პოლონელთის სარდლობამ ძირითადი საბრძოლო მოქმედებები რუსების სამხრეთის ფრონტის წინააღმდეგ მიმართა. მათი მიზანი იყო მტრის ფრონტის ორივე ფრთიდან შემოვლა და რუსული რაზმების გადამწყვეტი შეტევით განადგურება. გენერალური შეტევა მთელ სამხრეთის ფრონტზე დაიწყო 12 სექტემბერს; რუსებს უტევდა პოლონელთის III და VI არმია, ასევე სამხრეთის მხრიდან უკრაინელთა ლაშქარი. საბრძოლო მოქმედებები, პოლონელთის მთავარსარდლის გეგმის მიხედვით წარიმართა, რის გამოც, პოლონელთის არმიამ წინ მნიშვნელოვნად წაიწია. მორალურად დაცემულმა რუსმა ჯარისკაცებმა შეტევა ვერ მოიგერის და რუსეთის ჯარმა უკან დახევა დაიწყო. საბრძოლო ოპერაციის დროს, ჯავშნოსანთა ერთობლივი მცდელობით, მტრის ზურგში პირველად იქნა გადასროლილი ავტომობილებზე დატვირთული პოლონელთა ქვეითი ჯარის დიდი ნაწილი. აღნიშნული საბრძოლო მანევრი, შემდეგში სამხედრო ისტორიის სპეციალისტთა აქტუალური კვლევისა და კამათის საგანი გახდა. ფაქტია, რომ ამ მანევრმა, პოლონელთა სასარგებლოდ, ძირული გარდატეხა შეიტანა საომარ მოქმედებებში. პოლონელთის ჯარის ერთმა ნაწილმა, მარჯვენა ფრთიდან შემოუარა რუსეთის XII არმიას და ქალაქ კოველში შეიჭრა. იქ, ღრმა ზურგში რუსების შტაბები, თავს უზრუნველად გრძნობდნენ და დინჯად აწყობდნენ ახალ საბრძოლო გეგმებს პოლონელთა წინააღმდეგ. ქ. კოველი რუსებს თხუთმეტი საათით ადრე ჰქონდათ დაკავებული, ვიდრე იქ პოლონელთა რაზმები გამოჩენდებოდნენ. მათმა გამოჩენამ რუსების ფრონტზე საგრძნობი არეულობა და რუსეთის არმიის მასიური უკანდახევა გამოიწვია. ბუდიონის ცხენოსანთა რაზმი კიდევ ერთხელ შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას, თუმცა მდინარე სტირზე პოლონელთა ცხენოსანმა კორპუსმა უკუაგდო მათი რაზმი. ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის, ფრონტის ხაზი მდინარე უბორცის, სლუჩისა და კალუშის ხაზზე გადიოდა. საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, აღდგენილი იქნა მჭიდრო კავშირი ჩრდილოეთის ფრონტზე მებრძოლ პოლონურ ერთეულებთან. რუსები მთელ ფრონტზე დამარცხდნენ. პოლონელთის ცხენოსანი რაზმი რუსი ჯარისკაცების ზურგიდან აგრძელებდა საბრძოლო მოქმედებებს. მათ მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში გაანადგურეს ქ. კოროსტენში არსებული მტრის მთავარი კვანძი, რითაც ვარშავის ბრძოლა პოლონელთა სამართლიანი გამარჯვებით დასრულდა.

მიუხედავად მთელი რიგი განსხვავებისა, რომელიც მეფის რუსეთის მხედრობასა და საბჭოთა ჯარისკაცების თაობას შორის არსებობდა, პოლონელთის წინააღმდეგ ომი და განსაკუთრებით, ვარშავის ბრძოლა, რუსებმა ძველი რუსული ტრადიციების მიხედვით ჩატარეს და თავიანთი სარდლობის შესისხლხორცებული თვისებების გამო, წააგეს კიდეც. მაშინ, როდესაც რუსების ჩრდილოეთის ფრონტის არმია, პოლონელთა მოულოდნელი შეტევის გამო, სასიკვდილო აგონიაში იმყოფებოდა, სამხრეთის ფრონტზე მყოფმა რუსულმა ნაწილებმა მათ დასახმარებლად არაფერი გააკეთეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ

ტრადიციულად, მათ მხოლოდ საკუთარ ფრონტზე ევალებოდათ ბრძოლის წარმოება. მიუხედავად მათი მეთაურების მხრიდან გარკვეული ბრძანებისა, რუსეთის სამხრეთის ფრონტის ჯარისკაცები, პოლონელებისაგან განსხვავებით, ურყევად იდგნენ და სეირს შეჰქორებდნენ. როდესაც ქ. რაძიმინთან (ქალაქი ვარშავასთან ახლოს) ბრძოლამ პოლონეთისათვის მძიმე ხასიათი მიიღო, პოლონეთის სარდლობას V არმიის ნაწილების შეკრება ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული; მიუხედავად ამისა, პოლონელთა მეზობელი არმიის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მე-V არმია დაუყოვნებლივ გადავიდა შეტევაზე, ხოლო ფრონტზე საერთო სიტუაციის გამოსასწორებლად, პოლონეთის დამკვრელმა გვარდიამ ერთი დღით ადრე დაიწყო საომარი მოქმედება.

ფაქტიურად, ვარშავის ოპერაციამ გადაწყვიტა რუსეთ-პოლონეთის ომის ბედი. რუსები სასტიკად დამარცხდნენ, მაგრამ ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. რუსეთი, რომელიც 1914 წლიდან განუწყვეტელი ომებით იყო მოქანცული, ზავის რაც შეიძლება მალე დადებას ცდილობდა. პოლონეთის სარდლობა კი რუსების იმ შეიარაღებული ძალების საჩქაროდ განადგურებას მიიჩნევდა საჭიროდ, რომელიც მტერმა ვარშავის ბრძოლიდან გადაარჩინა.

ვარშავის ბრძოლის დროს, პოლონეთის არმიის მთავარი მოქმედება სამხრეთიდან პირდაპირ ჩრდილოეთის მიმართულებით წარმოებდა. რუსების არმია ჯვარედინი მიმართულებით იხევდა უკან. კერძოდ, დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. პოლონელების მოქმედების მარჯვენა ფრთას II არმია იცავდა, რომელიც რუსეთის არმიის დევნის პროცესში, ბრესტიდან ქ. ბიალისტიკისა და ოსოვეცის მიმართულებით, 250 კილომეტრის სიგრძეზე იყო გადაჭიმული. გერმანიის საზღვარზე მყოფი პოლონეთის არმიის წინ, მოწინააღმდეგებ რუსული ძალები საერთოდ გაქრნენ. სამაგიეროდ, რუსული ჯარის ნაწილები აღმოსავლეთით, ყოფილი მარჯვენა ფრთის წინ, მდინარე ნემანისა და შჩარის დასავლეთით იყრიდნენ თავს. პოლონეთის სარდლობის აზრით, საჭირო იყო მთელი ფრონტის შემობრუნება და აზალი ბრძოლის მომზადება ისე, რომ მოწინააღმდეგეს ვერ მოესწრო სულის მოთქმა. აღნიშნული სამხედრო ოპერაცია უნდა უზრუნველეყო პოლონეთის II არმიას, რომლის ზურგს უკან IV არმია იდგა. პოლონურ არმიებს, ი. პილსუდსკი, იმ დივიზიებით აძლიერებდა, რომლებიც თანდათან თავისუფლდებოდნენ ვარშავის ბრძოლის განვითარებასთან ერთად. დივიზიების ერთი ნაწილი მთავარსარდალმა სამხრეთის ფრონტის გასაძლიერებლად გაგზავნა. რუსეთის არმიამ, თავისი მარჯვენა ფრთა ლიტვის საზღვრებს მიაბჯინა, მარცხენა – პოლესიის ჭაობებს, სადაც აწარმოებდა საბრძოლო ნაწილების ჩქარი ტემპით შევსებას და მოწესრიგებას.

პოლონეთის მთავარსარდალს, ი. პილსუდსკის, იმ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა მომავალი საბრძოლი გეგმა. გეგმის მიზედვით, საჭირო იყო მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების მარჯვენა ფრთიდან შემოვლით, ზურგში დარტყმის განხორციელება და მტრის უკუგდება. გარდა ამისა, იმავდროულად უნდა განხორციელებულიყო მცირემასშტაბიანი შეტევა,

შედარებით ნაკლები ძალებით, ასევე მტრის მარცხნა ფლანგზეც, რისთვისაც სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო პოლონეთის ჯარის ნაწილების გადაჯგუფება.

რუსებს პოლონელების წინააღმდეგ საბრძოლველად გამზადებული ჰყავდათ ოთხ ლაშქრად დარაზმული ქვეითი ჯარის ორი დივიზია და ერთი ბრიგადა; ამასთანავე, ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა ქვეითი ჯარის ათი დივიზია, ერთი ბრიგადა და ცხენოსანი ჯარის ერთი დივიზია. დანარჩენი შვიდი დივიზია რეორგანიზაციის პროცესში იმყოფებოდა. რუსეთის ჯარი შემდეგნაირად განლაგდა: მარჯვენა ფრთაზე იდგა III არმია, ხუთი ქვეითი და ერთი ცხენოსანი დივიზიის შემადგენლობით. ცხენების უქონლობის გამო, რუსი მხედრები ქვეით რაზმში გადავიდნენ. აქედან, ხაზზე, მხოლოდ სამი დივიზია იმყოფებოდა. მათგან მარცხნივ, იდგა XV არმია, ოთხი დივიზიის შემადგენლობით; მაგრამ რეალურად, ფრონტის ხაზზე, მხოლოდ ორი დივიზია იდგა. მარცხნივ განლაგებული იყო რუსეთის ოთხ დივიზიანი XVI არმია და შემდეგ ახლად შედგენილი რუსების ხუთ დივიზიანი IV არმია. უფრო ჩრდილოეთით იდგა ლიტვის ჯარი. 1920 წლის ივლისში, პოლონეთის არმიის უკან დახევის დროს, ლიტვამ დაარღვია ნეიტრალიტეტი და პოლონეთის ტერიტორიის ნაწილი დაიკავა, რითაც ფაქტიურად, ამ ქვეყანასთან საომარი მდგომარეობა შეიქმნა. საომარი მდგომარეობა გაგრძელდა 7 ოქტომბრის ხელშეკრულებამდე. ვარშავის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, რუსეთის ჯარის მატერიალური და სულიერი მდგომარეობა ძლიერ შეირყა. ჯარის ნაწილები იმდენად დასუსტდა, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო მათი ხელახალი გადაჯგუფება. რუსების აღნიშნული ძალების წინააღმდეგ, ორ ლაშქრად დაირაზმა პოლონეთის ქვეითი ჯარის ოორმეტი დივიზია და ცხენოსანი ჯარის ორი ბრიგადა. მარცხნა ფრთაზე იდგა პოლონეთის II არმია, რომლის განკარგულებაში იმყოფებოდა ქვეითი ჯარის ექვსი დივიზია და ცხენოსანი ჯარის ორი ბრიგადა, ხოლო მისგან მარცხნივ იდგა პოლონეთის IV არმია, ქვეითი ჯარის ექვსი დივიზიის და ერთი ბრიგადის შემადგენლობით.

პოლონეთის მთავარსარდლის, ი. პილსუდსკის საბრძოლო გეგმა შემდეგი იყო: მან განიზრახა პოლონეთის II არმიის შემადგენლობიდან გამოეყო შემომვლელი ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფს უნდა გაევლო ლიტველთა ლაშქრის გასწვრივ და მის ზურგში მდინარე ნემანი გადაელახა, საიდანაც ზურგის სიღრმეში შეტევა უნდა განეხორციელებინა რუსების სათადარიგო დივიზიაზე, რომელიც დაბა ლდის რაიონში იდგა. საომარი მოქმედებების დაწყების წინ, ი. პილსუდსკი ფიქრობდა ისეთი ძალით შეეტათ რუსებისათვის, რომ მოწინააღმდეგის ფრონტიდან უკუგდებული ნაწილები, უკან დახევის დროს, პოლონეთის შემომვლელ ჯგუფს პირისპირ შეხვედროდა და უკან დახევა ჩრდილოეთის ნაცვლად, სამხრეთისაკენ, პოლონელთა XV არმიის ზურგში განხორციელებულიყო. იმ მიზნით, რომ მტერი შეცდომაში შეეყვანათ და პოლონელთა მთავარი მიმართულება დაეფარათ, განზრახული იქნა IV არმიის მძლავრი შეტევა ქ. ვოლკოვისკის მიმართულებით. მთელი ამ მოქმედებების ლიტველთა შეტევისაგან თავდასაცავად, სუვალკის რაიონში გამზადებული იქნა ე. წ. ჩრდილოეთის ჯგუფი. ამას ემატებოდა სამხრეთიდან პოლონელების IV

არმის ნაწილების მიერ წარმოებული შემოვლითი ოპერაციები. აღნიშნული ჯგუფის ძალთა განაწილება შემდეგნაირად განხორციელდა: II არმის განკარგულებაში იყო: 1) შემომვლელი ჯგუფი, ორი ქვეითი ჯარის დივიზიით და ცხენოსანთა რაზმის ორი ბრიგადით; 2) ჩრდილოეთის ჯგუფი, ერთი დივიზიით და ერთი ქვეითი ჯარის ბრიგადით; 3) ფრონტის ნაწილები, ქვეითი ჯარის სამი დივიზია.

20 სექტემბერს, ფრონტის ნაწილებმა დაიწყეს მოსამზადებელი შეტევა მდინარე ნემანის გადასალახავად, რათა ბრძოლის წარმოებისათვის სათანადო სივრცე დაეკავებინათ. ნემანის ხაზს და გროდნოს რაიონს რუსეთის სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რის გამოც რუსეთის ჯარი ბრძოლაში თავდაუზოგავად ჩაება და შეტევამ თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. ამ დროს კი, ავგუსტოვის ტყეებში, საიდუმლოდ იკრიბებოდა პოლონეთის არმის შემომვლელი ჯგუფი. ერთეული დივიზიის მეთაურები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შეტევა უნდა მიეტანათ ქ. კოვნოზე. 22 სექტემბერს, პოლონელმა ჯარისკაცებმა ერთი დაკვრით გაარღვიეს ლიტველთა ფრონტი და ქ. დრუსკენიკისკენ გაემართნენ. 23 სექტემბერს, მათ დაიკავეს მდინარე ნემანზე გადასასვლელები და ქ. ლიდისაკენ გაემართნენ. პოლონეთის არმის ფრონტის ნაწილები უშუალოდ მდინარე ნემანის ნაპირებზე იბრძოდნენ და რუსებს მდინარის გადალახვის შესაძლებლობას არ აძლევდნენ. მხოლოდ რუსეთის IV არმის ნაწილებმა მიაღწიეს საგრძნობ წარმატებას ვოლკოვისკის რაიონის მიმართულებით, თუმცა მეორე დღესვე, ისინი პოლონელებმა უკუაგდეს. 25 სექტემბერს, რუსეთის IV არმიამ ხელახლა დაიკავა ვოლკოვისკის რაიონი, თუმცა პოლონელთა ძლიერი შეტევის შემდეგ, ნელ-ნელა აღმოსავლეთისაკენ დაიწია. ლამით, პოლონეთის ჯარის ნაწილები გროდნოში შევიდნენ. ბრძოლის შემდგომი მსვლელობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული პოლონეთის შემომვლელი ჯგუფის მოქმედებაზე, რომელმაც 24 სექტემბერს, საღამოს, გადალახა ვილნო-გროდნოს რკინიგზის ხაზი. ი. პილსუდსკიმ გროდნოს რაიონში მდგომარეობის გაურკვევლობის გამო, 25 სექტემბერს ერთი დღით შეაჩერა აღნიშნული ჯგუფის წინსვლა. 26 სექტემბერს, შემომვლელი ჯგუფის ერთი დივიზია და ერთი ცხენოსანი ბრიგადა, დრუსკენიკის რაიონიდან რადუნის მიმართულებით ქ. ლიდისაკენ გაემართა, სადაც რუსების მთავარი მაშველი ძალა იმყოფებოდა. უფრო სამხრეთით მდგომი პოლონეთის არმიის ერთი დივიზია და ერთი ცხენოსანი ბრიგადა კი აღმოსავლეთის მიმართულებით დაიძრა. 25 სექტემბერს, ლამით, პოლონელთა შემომვლელი რაზმის ჩრდილოეთით მდგომა ჯგუფებმა დაიკავეს რადუნ-მარცინკანეცის რაიონი, ხოლო მათგან სამხრეთით მყოფი პოლონური ნაწილები, სტარა რუდას რაიონში, რუსების III არმიის ზურგში მოექცა. პოლონელთა აღნიშნული ჯგუფი, 27 სექტემბერს, მდინარე ლებიოდაზე გადაეღობა რუსების III არმიას, რომელიც აღმოსავლეთისაკენ იხევდა უკან. უეცრად, რუსების არმიას წამოეშველა ქ. ლიდიდან გადმოსული რუსების მაშველთა ნაწილი, რომელიც პოლონელთა დივიზიის ნაწილს ზურგიდან ეკვეთა. პოლონეთის არმიამ დიდი ზარალი განიცადა. პოლონელთა შემომვლელი ჯგუფის ჩრდილოეთის ნაწილი, 28 სექტემბერს, ჩრდილოეთიდან

ბრძოლით შევიდა ქ. ლიდში, სადაც მოახერხა შემოტრიალება ფრონტით დასავლეთისაკენ და ამჯერად, უკვე მეორედ მოუჭრა გზა რუსების III არმიას. პოლონეთის სამხედრო ნაწილების ქალაქში შესვლის მომენტში, რუსების არმიის სარდალმა ძლივს მოასწრო მატარებლით ქ. მოლოდენჩოსაკენ უკან დახევა. ამის შემდეგ, რუსული ჯარის ნაწილებს შორის კავშირი მნიშვნელოვნად დაირღვა, რის გამოც რუსული დივიზიის ნაწილები მეთაურის გარეშე, საკუთარი ბედის ანაბარა დარჩნენ და ისე აგრძელებდნენ ბრძოლას. რუსების ექვსივე დივიზია, უწესრიგოდ არეული, აღმოსავლეთისაკენ გარბოდა. მოულოდნელად, ქაოსურად მებრძოლ რუსულ ნაწილებს დასავლეთიდან პოლონეთის მთავარი ფრონტის ჯარისკაცებმა შეუტიეს. ჩრდილოეთის ფრონტის სამხრეთ ნაწილში, პოლონელების IV არმიამ გადალახა მდინარე შჩარა და ქ. სლონიმი დაიპყრო. ორი დღით ადრე კი, მარჯვენა ფრთიდან შემომვლელმა პოლონურმა ნაწილებმა ქ. პინსკი დაიკავეს. რუსების სამხედრო ძალებმა მასიური უკანდახევა დაიწყეს. ამის შემდეგ, ფაქტიურად, რუსეთის შეიარაღებული ნაწილების მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა შეწყდა. პოლონეთის სარდლობა მიხვდა, რომ ზავი უახლოესი დღეების საქმე იყო და პოლონეთის სახელმწიფოს მომავალი საზღვრების სტრატეგიულად განმამტკიცებელი რაიონების დაკავების მიზნით, უმოწყალოდ დევნიდა მტერს ქვეყნის საზღვრებიდან. პოლონეთის არმია, დამფრთხალ რუსებს ფრონტის ერთი ფრთიდან მეორეზე მიერკებოდა და აქტიურად მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ. ზავის დადების დღეს, პოლონელებს უკვე ზასლავ-რატომკა-მდინარე პტიჩის საზი ეჭირათ.

საზავო მოლაპარაკება ვარშავის მინსკში, ვარშავის ბრძოლის წინა დღეებში, პოლონეთისათვის უმძიმეს წუთებში დაიწყო. რუსები მოლაპარაკებას განზრახ აჭიანურებდნენ. შემდგომში, მოლაპარაკება რუსეთის მინსკში იქნა გადატანილი. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ომის ბედი ძირეულად შეიცვალა, რადგან პოლონეთის არმია დიდი სიჩქარით უახლოვდებოდა მეორე, რუსეთის მინსკის მისადგომებსაც. პოლონელების ეს განუწყვეტილი წინსვლა, მნიშვნელოვნად არბილებდა რუსების საზავო მოლაპარაკებაში დაკავებულ, მათი აზრით, ურყევ პოზიციას და მას პოლონელთა სასარგებლოდ ცვლიდა. ბოლოს, ზავი ქ. რიგაში დაიდო. ზავის ხელმოწერის დროს კი რუსეთის მინსკიც პოლონელების ხელში იყო. ამრიგად, 1920 წლის 12 ოქტომბერს დაიდო დროებითი ზავი, ხოლო 1921 წლის მარტში, რიგაში, რუსეთისა და პოლონეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ზავს, რომლითაც პოლონეთს გადაეცა დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია. 1920 წლის ოქტომბერში, პოლონეთის ჯარმა დაიკავა ვილნიუსი, რომელიც თავისი ოლქით 1922 წელს, ოფიციალურად პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა.

ასე დასრულდა რუსი ბოლშევიკების „წითელი ჯვაროსნული ლაშქრობა“ დასავლეთისაკენ. ამ ომში გამარჯვებით, პოლონეთმა დაამტკიცა თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება. ვარშავის ბრძოლამ ხუთი დღის განმავლობაში ომის ბედი რადიკალურად შეცვალა და ცხადყო, რომ რუსეთი

პოლონეთს ვერ დაამარცხებდა. ვარშავის შემდგომი ნემენის ბრძოლა, ეს უკვე ამ ომში დაამარცხებული რუსების საბოლოოდ დაჩოქება იყო და მოპოვებული გამარჯვების სტრატეგიულ და პოლიტიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენდა.

ვარშავის ოპერაციის დაგეგმვის დროს, მ. ტუხაჩევსკიმ უარი თქვა, რომ რუსეთის არმიას მთავარი ფრონტალური დარტყმა ვარშავაზე მიეტანა. მისი აზრით, პოლონეთის მთავარი შეიარაღებული ძალები დედაქალაქის ჩრდილოეთით იხევდნენ უკან. მან სწორედ ამ მიმართულებაზე მიიტანა მთავარი დარტყმა, რათა გაენადგურებინა პოლონეთის ჯარი ვარშავიდან ჩრდილო-დასავლეთით. 27 წლის მ. ტუხაჩევსკის გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო გააღრმავა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიღებული სტრატეგიული შეცდომა. საბჭოთა სამხედრო დაზვერვამ ვერ მოახერხა ვერც იმის დადგენა, რომ მთავარი პოლონური ძალები ვარშავის ჩრდილოეთით არ იყო განლაგებული. მათ ვერ შეამჩნიეს ვერც მდინარე ვეკშზე, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მებრძოლი პოლონური დივიზიების გადასროლა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, მ. ტუხაჩევსკიმ მიიღო საკმაოდ რისკიანი გადაწყვეტილება, ვინაიდან მას მოწინააღმდეგე პოლონურ ძალებზე საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნდა. სამხედრო ისტორიის მკვლევართა აზრით, ვარშავის ოპერაციაში რუსეთის არმიის დაამარცხება და ამ მარცხში ტუხაჩევსკის წვლილის შესახებ დავა გადამწვეტი ფაქტორი გახდა მისი ბედის განსაზღვრაში 1937 წლის რეპრესიების დროს. მხოლოდ 1957 წელს, მისი გადრაცვალების შემდეგ, მოხდა მ. ტუხაჩევსკის რეაბილიტაცია.

აქვე საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ვარშავის ბრძოლის მნიშვნელობა მხოლოდ რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის საკითხით არ ამოიწურებოდა. ვარშავის ბრძოლაში რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში, მთელი ევროპის და შესაძლოა მსოფლიო პოლიტიკური რუკაც ძირფესვიანად შეცვლილიყო. იგივე პრობლემის წინაშე იდგა ევროპა მაშინაც, როდესაც ოსმალთა ძლევამოსილი ჯარი შუა ევროპაში შეიჭრა და ვენას ზარბაზნებს უშენდა. მაშინაც ომის ბედზე იყო დამოკიდებული, თუ საით წავიდოდა ევროპის და საერთოდ კაცობრიობის განვითარების მომავალი: ოსმალეთის თუ დასავლეთ ევროპის გზით. პოლონეთმა მაშინაც თავისი სიტყვა თქვა. ბუნებრივია, ეს არ იყო უბრალო შემთხვევის შედეგი. პოლონეთი ორ განსხვავებულ სამყაროს, დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთს შორის მდებარეობს.

რუსეთთან ომში პოლონეთის გამარჯვება განაპირობა ი. პილსუდსკის გამჭრიახობამ, რომლის საწინდარიც მისი შეუპოვარი რევოლუციური წარსული იყო და ის სამხედრო გამოცდილება, რომლის ბრძოლის ასპარეზი მაგდებურგიდან კამჩატკამდე იყო გადაჭიმული. საბრძოლო წვრთნა მან 1905, 1914-1918 წლების მძიმე გამოცდებიდან მიიღო. მთელი ამ ხანგრძლივი ბრძოლის განმავლობაში მიუძღვდა იგი საკუთარი ერის მებრძოლ ნაწილს. პოლონელი ერი იცნობდა მას, ჰქონდა მისდამი რწმენა, რის გამოც ანიჭებდა მოქმედების თავისუფლებას. ის იყო ფაქტიურად ვარშავის ბრძოლის ავტორი. ბევრი უცხოელი სამხედრო სპეციალისტი პოლონელების ამ გამარჯვებას ფრანგების დამსახურებად მიიჩნევდა. მათ მხედველობაში ჰქონდათ ის

გარემოება, რომ 1920 წლის ივლისში პოლონეთის დასახმარებლად ვარშავაში ჩავიდა ანტანტის სამხედრო მისია, რომლის სათავეშიც ფრანგების მთავარსარდლი, I მსოფლიო ომის დროინდელი შტაბის უფროსი, გენერალი ვეიგანი იდგა. როგორი იდეალური გეგმაც არ უნდა შეემუშავებინა ვეიგანს, ყველაფერი მაინც ამ გეგმის განმხორციებლის პირად ღირსებებზე იყო დამოკიდებული. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ თუნდაც ის მაგალითი, რომ გერმანელებმა მსოფლიო ომი გენერალ შლიფენის, თითქმის იდეალური, მარტივი და უტყუარი გეგმით დაიწყეს, მაგრამ გენერალმა მოლტკემ ეს გეგმა თავისი ხასიათისა და ღირსების შესაფერისად ჩაასწორა და იგი ბოლოს მარნის ღირსებამდე მიიყვანა. უფრო მეტიც, მარშალ ი. პილსუდსკის, ფრანგების კონცეფცია არამც თუ არ მიუღია, არამედ მის საწინააღმდეგოდ მოიქცა. მან გადამწყვეტი დარტყმა მიიტანა მტერზე მდინარე ვეშპის ნაპირებიდან ჩრდილოეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, რუსეთის არმიის ღრმა ზურგში. პოლონეთის სარდლობა, მხოლოდ ვარშავა-მოდლინის რაიონში აწარმოებდა მოგერიებით და ნაწილობრივ შეტევითი ხასიათის ოპერაციებს, რითაც მტრის ძალებს ფრონტალურად შეუკრა ხელ-ფეხი. ამ ფაქტს ხაზს უსვამდნენ, ასევე ცნობილი ფრანგი სამხედრო მკვლევარები გენერლები კომონი და მორდაკი. ამრიგად, ვარშავის ბრძოლის კონცეფცია და მისი პრაქტიკული განხორციელება ი. პილსუდსკის განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენდა.

პოლონეთს თავისუფლება და გამარჯვება მოუპოვა მეთაურმა, რომელიც ერს დამპყრობლისადმი შეურიგებელი და უკომპრომისო ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. უკიდურესი გაჭირვების წუთებში პოლონელი ერი ინსტიტურად, მხოლოდ, მას შესცემოდა და საკუთარ ბედს უყოფმანოდ მასვე ანდობდა.

რუსეთ-პოლონეთის ომმა ცხადყო, რომ ერი, რომელსაც თავისუფლების მოპოვების ურყევი გადაწყვეტილება აქვს და სურს ამისათვის ბრძოლა, მიუხედავად მოწინააღმდეგის სიძლიერისა და უამრავი დაბრკოლებისა, მიზანს უეჭველად მიაღწევს. ერს, თუ არა აქვს გადაწყვეტილება თავისი არსებობისათვის ბრძოლის საკუთარი ძალებით წარმოებისა, მას ვერც ერთი უცხო სახელმწიფო და ვერავითარი ძალა ვერ გაათავისუფლებს მონობიდან. დამოუკიდებელი არსებობა კი ამაყი და ბუნებით თავისუფალი ერების პრივილეგიაა. ი. პილსუდსკი იყო ის პიროვნება, რომელიც აუწერელი სირთულეების, დაბრკოლებებისა და ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად, საკუთარ ხალხს უკომპრომისო და რადიკალური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. იგი ამ ბრძოლის მოსამზადებლად უანგაროდ იღწვოდა. ქვეყნისათვის უკიდურესად კრიტიკულ მომენტში პოლონელმა ერმა იგი მთავარსარდლად აირჩია, თავისი ბედი მიანდო და მანაც იმედი არ გაუცრუა საკუთარ ხალხს.

პოლონეთის სამხედრო მინისტრი და შეიარაღებულ ძალთა გენერალური ინსპექტორი, იოსებ პილსუდსკი 68 წლის ასაქში გარდაიცვალა ვარშავაში. იგი დაკრძალულია ქ. კრაკოვში, ვაველის სასაფლაოზე, იქ, სადაც განისვენებენ პოლონეთის მეფეები. ვაველს პოლონელებისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართველებისათვის მცხეთისა და გელათის მეფეთა საძვალეებს. ი.

პილსუდსკის დაკრძალვაზე, წმინდა იოანეს ეკლესიის შესასვლელში, სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა, პროფესორმა ეგნატე მოსტიცკიმ. მან ისაუბრა ი. პილსუდსკის დამსახურებაზე პოლონელი ერის წინაშე და თქვა: „მეფეთა სავანეს პბარდება (ჩვენი) მეგობარი საუკუნო განსასვენებლად. არ აშვენებს მის შუბლს მეფეთა გვირგვინი, არც ხელთ უპყრია ემბლემები საამისო. იგი მეფე იყო ჩვენი გულების და მფლობელი ჩვენი სულის. თავისი სიცოცხლის ნახევარ საუკუნოვანი შრომით იგებდა ის გულს გულზე და სულს სულზე, ვიდრე მშვენიერი სამეფო მისი სულისა არ დაეუფლა პოლონეთს მთლიანად... მან აღუდგინა პოლონეთს თავისუფლება, მისცა საზღვრები, დაუბრუნა სიძლიერე და პატივი. საკუთარი ქცევით კიდით-კიდემდე აღვიძებდა გმირობისადმი ლტოლვის ნაპერწყალს... ოჯახთა კერასთან აღვმართოთ ბჭენი ფასდაუდებელ მის თვისებათა ჩვენში გადასარჩენად და ნაანდერძევის შესანახად, რათა სამშობლოსათვის დატანჯულ მის სულს საუკუნო განსვენება დავუმკვიდროთ“.

ი. პილსუდსკის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურნენ პოლონეთში, ემიგრაციაში მყოფი ქართველი სამხედრო მოღვაწეები, რომლებიც თავის დროზე რუსული აგრესიის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. ისინი უცხო ქვეყნიდან შესცეროდნენ და სულმოუთქმელად ელოდებოდნენ საქართველოს გათავისუფლებას. ბევრმა მათგანმა უცხოობაში დალია სული და იქ ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. ერთ-ერთი მათგანი, ტაბახმელას ბრძოლის სულისჩამდგმელი, გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე ასე აფასებდა ი. პილსუდსკის ღვაწლს: „მარშალი პილსუდსკი თავის ინდივიდუალურ თვისებათა წყალობით ყველა ხალხისათვის სიმდიდრედ გადაიქცა – ამ მხრივ იგი პოლონეთის ფარგლებს გასცდა. მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა, მთელი სიცოცხლის მსვლელობა საუკეთესო მაგალითია ყველასათვის, ვისაც სურს სიკეთე თავისი სამშობლოსათვის. არ იქნება გადაჭარბება, რომ ვთქვათ: ვერც ერთი ხალხი ვერ გაიგებს, ვერ იგრძნობს და ვერ შეაფასებს მარშალის ნამოქმედარს ისე, როგორც ჩვენი ქართველი ხალხი. სწორედ, ჩვენი ხალხი, იმავე დროს და იმავე მტრისაგან ჩაგრული, საერთო ისტორიის მსვლელობამ მიგვიყვანა განთავისუფლებამდე... როგორ მოვუარეთ ჩვენ თავს და რა ადვილად დავკარგეთ თავისუფლება! პირობები ბევრად ადვილი და ხელსაყრელი იყო ჩვენთვის, ვიდრე პოლონეთისთვის, ოღონდ ვერ გამოვიჩინეთ მტკიცე სურვილი, მივაყუჩეთ ჩვენი ხალხის სულის ტრადიციული სიძლიერე. ვინ იცის, ამ დიდი ადამიანის ისტორიამ რომ მიაღწიოს ჩვენ ხალხამდე, ბევრ რამეზე აუხელს მას თვალებს, გააგებინებს წარსულ შეცდომებს და მომავლისათვის ბევრს ასწავლის; ჩვენი ხალხი შორს არის. ჩვენ, ემიგრაციაში მყოფ ქართველებს კი შესაძლებლობა გვაქვს შევისწავლოთ ამ არაჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება და ნამოქმედარი და ვაღიაროთ სამშობლოსათვის საბრძოლველ ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის გახანგრძლივებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პოლონეთ-რუსეთის ომმა, რომელიც რუსების მარცხით დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ როდესაც

პოლონეთის ჯარები ქ. კიევს უახლოვდებოდნენ, რუსებმა, სწორედ, მაშინ მოაწერეს ხელი საქართველოსთან ე. წ. „სამშვიდობო“ ხელშეკრულებას. დოკუმენტი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „მეგობრობის ტრაქტატი“ უწოდა, ხელმოწერილი იქნა 1920 წლის 7 მაისს, სწორედ იმ დროს, როდესაც პოლონეთის ჯარმა ქ. კიევი აიღო. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, დროის გაყვანის დანიშნულება ჰქონდა, რითაც მხოლოდ მცირე ხნით შეყვინდა საქართველოს ანექსია. რუსეთის ჯარებმა, ჯერ კიდევ 1920 წლის პირველ მაისს, გადაკვეთეს აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარი და მოულოდნელი თავდასხმით მოინდომეს თბილისის დაპყრობა, თუმცა ქართულმა გარნიზონებმა რუსებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს ოფიცერთა სკოლის კადეტებმა; სწორედ, მათ აიძულეს ბოლშევიკების ჯარს, უკან დაეხია. რუსებს მაინც არ აუღიათ ხელი თბილისის დაპყრობაზე და 2 მაისს, დილით, საქართველოს წინააღმდეგ კავალერია გამოაგზავნეს, რომელსაც წითელ ხიდთან მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ქართული ჯარის ნაწილებმა. ეს შეტაკება ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. რუსების სამხედრო მოქმედებები საქართველოში 5 მაისამდე გაგრძელდა. აღნიშნულ სამხედრო ოპერაციებს, იმ ეტაპზე, რუსეთისათვის მხოლოდ დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა, რისთვისაც დიდი რაოდენობით ჯარისკაცს არ აგზავნიდნენ. ბოლშევიკები ცდილობდნენ ამოეცნოთ არა მხოლოდ საქართველოს სამხედრო მომზადება, არამედ ევროპის რეაქცია თავიანთ ავანტიურისტულ მოქმედებებზე.

საჭოთა ისტორიოგრაფია კრძალავდა ი. პილსუდსკის სახელს და პოლონეთის განმათავისუფლებელ ბრძოლას აბსოლუტურად საწინააღმდეგოდ, სეპარატიზმად და პოლონელი ხალხისთვის დამდუპველად წარმოაჩენდა. სამწუხაროდ, ასეთ სიცრუეში ცხოვრობდა ქართველი ერიც, რომელსაც დამოუკიდებლობა რუსულმა ხიშტებმა, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დაპყრობის შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე წაართვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1921 წელს, პოლონეთის მთავრობამ სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა „დე იურე“. პოლონეთში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი იყო იმავე დროს ვარშავაში არსებული ქართული საზოგადოების თავმჯდომარე. 1920 წელს, დაარსდა სპეციალური ორგანო „ქართული კომიტეტი პოლონეთში“, რომელსაც ოფიციალური სტატუსი ჰქონდა დამტკიცებული პოლონეთის ხელისუფლების მიერ. ქართული კომიტეტი პოლონეთში მუშაობას აგრძელებდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც, 1922 წლის ბოლომდე. კომიტეტს ხელმძღვანელობდა ს. ფურულიშვილი, ხოლო შემდეგ ი. სალაფაია. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921 წწ.), საქართველოს მთავრობამ მიიღო პოლონეთის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები გენერალ ი. პილსუდსკის მეთაურობით და ისინი როგორც სტუმრები, მთელი წლის სასწავლო და დღიური ხარჯებისაგან გაათავისუფლა. ეს იმ პატივისცემის დასტური იყო, რასაც რუსეთის იმპერიის მონობაში მოქაული, ამ ორი ერის ხალხებს შორის, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, პოლონეთის ხელისუფლებამ შეიფარა ქართველი ლტოლვილები. საფრანგეთის შემდეგ, ქართველ ემიგრანტთა ყველაზე დიდი ჯგუფი პოლონეთში დასახლდა. პოლონეთის სამხედრო სკოლაში ჩაირიცხა 46 ქართველი იუნკერი, რომლებსაც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ოფიცრის ჩინი მიენიჭათ და პოლონეთის არმიის სხვადასხვა შენაერთებში გადანაწილდნენ.

პოლონელი ხალხის ბრძოლის ისტორიას რუსული აგრესიის წინააღმდეგ, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ქართველებისათვის, რადგან XIX საუკუნიდან დაწყებული, პოლონელი და ქართველი ხალხის ცხოვრება, შეიძლება ითქვას, პირდაპირ პარალელური გზით მიმდინარეობდა. ქართველმა ხალხმა პოლონელთა ამ გმირული ბრძოლიდან შემდეგი დასკვნები უნდა გამოიტანოს:

1. საკუთარი შეიარაღებული ძალების გარეშე ყოვლად შეუძლებელია ქვეყნის თავისუფლების მოპოვება.
2. ყოველგვარი შეიარაღებული ძალა ერის რეალურ სიმდიდრეს და საკუთრებას წარმოადგენს, რომელიც ადრე თუ გვიან უეჭველად იქნება გამოყენებული და თავის ერს უეჭველად გამოადგება.
3. ბრძოლის წარმოების ტექნიკისათვის სამხედრო განათლების მიღება ყველგან შეიძლება, მაგრამ ამ ხელოვნების სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნით გამოყენება, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ეროვნული პოლიტიკის და სტრატეგიის ხაზით უნდა იქნეს გატარებული. ამ მიზნით, ქართველმა ჯარისკაცმა უნდა შეისისხლხორცოს და გააანალიზოს საკუთარი ერის წიაღიდან გამოსულ მამულიშვილთა საბრძოლო გამოცდილება. საჭიროა გაიკვლიოს გზა ერეკლეს და დავით აღმაშენებლის საბრძოლო მოქმედებათა სულიერი კავშირისაკენ, რომელთა მაგივრობას მათ ვერავინ გაუწევს.
4. მხედრობის ღირსებათა და შესაძლებლობათა სრული რეალიზაციისათვის, აუცილებელია საკუთარი ჯარისკაცისათვის სრული ნდობის გამოცხადება მთელი ერისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან. ბუნებრივია, საკუთარი ჯარისადმი ნდობა, ომის გამოცხადების დეკრეტით, ერთ დღეში არ იძალება, ამისათვის საჭიროა ერის ყველა წარმომადგენლის მჭიდრო კონტაქტი საკუთარ მხედრობასთან მშვიდობის პერიოდშივე.

## განმარტებითი ლექსიკონი \*

**ანტანტა** – ფრანგულად „Entente“ „შეთანხმება“, იგულისხმება სამხედრო ბლოკი, რომელიც ჩამოყალიბდა 1904-1907 წლებში ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ე. წ. „სამთა კავშირი“. აღნიშნულმა ქვეყნებმა 1914 წლის ოქტომბერში გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთად უნდა ებრძოლათ პირველ მსოფლიო ომში. 1914-1918 წლებში მათ შეუერთდა იტალია, იაპონია, ანუ გერმანიის წინააღმდეგ განწყობილი სახელმწიფოები. ანტანტის ქვეყნებმა პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული სახელმწიფოები პარიზის საზავო კონფერენციაზე არ დაუშვეს. კონფერენციაში მონაწილეობდა ანტანტის მხარეზე მებრძოლი 27 სახელმწიფო. სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტს ამუშავებდა „ათთა საბჭო“, რომელშიც შედიოდა 5 დიდი სახელმწიფოს: აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლები. 1919 წლის მარტში „ათთა საბჭო“ გაუქმდა და იგი „ოთხთა საბჭოთი“ შეიცვალა, იაპონიის გამოკლებით.

**დივიზია** – ლათ. „Divisio“ ქვეითების, კავალერიის ან ჯავშანსატანკო ნაწილების 3-4 პოლკისაგან შედგენილი დანაყოფი, სამხედრო შენაერთი, რომელიც გაძლიერებულია არტილერიითა და სპეციალური სამხედრო ნაწილებით.

**ვერსალის ზავი** – 1919 წლის 28 ივნისს, ვერსალის სარკეებიან დარბაზში ხელი მოეწერა ზავს I მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიასთან. ვინაიდან ზავი ვერსალის სასახლეში იქნა ხელმოწერილი, მას ვერსალის ზავი ეწოდა. ვერსალის ზავით, პოლონეთს დაუბრუნდა ბალტიისპირეთის სანაპიროს, მხოლოდ მცირე ნაწილი დანციგის (გდანსკი) გარეშე. იგი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა. პოლონეთს გადაეცა აღმოსავლეთ პრუსიის მცირე ნაწილი, ხოლო დიდი ნაწილი კვლავ გერმანიას დარჩა. პოზნანის აღმოსავლეთ ნაწილის პოლონეთისათვის გადაცემაზე ვერსალის კონფერენცია, მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, როდესაც იქ მცხოვრები პოლონელების აჯანყების შედეგად, 1918 წლის დეკემბერში და 1919 წლის იანვარში გერმანელები გაძევებულნი იქნენ პოლონეთიდან. მოგვიანებით, 1919 წლის 10 სექტემბერს, პარიზში, სენ-ჟერმენის სასახლეში, პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ავსტრიამ ხელი მოაწერა ანტანტასთან საზავო ხელშეკრულებას, რომლითაც სცნო პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

**ვილნო** – ვილნიუსი, ლიტვის დედაქალაქი 1353 წლიდან. 1919 წელს პოლონეთის ჯარებმა ი. პილსუდსკის მეთაურობით ხელთ იგდეს ბრესტი, ვილნიუსი, მთელი ლიტვა, შეიჭრნენ ბელორუსიაში, დაიკავეს მინსკი და მიაღწიეს დასავლეთ დვინამდე და ბერეზინამდე. პოლონეთის იურისდიქციაში ყოფნის პერიოდში (1920-1939 წწ.), ქალაქი ვილნიუსი მოიხსენიებოდა ვილნოს სახელწოდებით. 1990 წელს, ლიტვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ლიტვის უძველესი ქალაქი ვილნიუსი თავისი არსებობის მანძილზე მესამედ გამოცხადდა ლიტვის დედაქალაქად. ვილნიუსში დაიბადა და

იქვე მიიღო უმაღლესი განათლება ცნობილმა პოლონელმა მწერალმა ადამ მიცევიჩმა, რომლის ძეგლიც დღესაც ამშვენებს ძველი ვილნიუსის ერთ-ერთ უბანს.

**ლეგიონი** – ლათ. „legio“ (legios) რომაული ჯარის უმაღლესი საბრძოლო ერთეული, ურიცხვი რაოდენობა, სიმრავლე, სხვადასხვა დროის სხვადასხვა სამხედრო ნაწილის სახელწოდება, მაგ. 1914-1918 წლების მსოფლიო ომის დროს მოქმედებდნენ პოლონური ლეგიონები.

**ლოდი** – (სიტყვასიტყვით – „ნავი“) მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, პოლონეთის მესამე ქალაქია. 2006 წლის მონაცემებით ქალაქის მოსახლეობა 753 192 კაცს შესადგენს. ის ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, ვარშავის სამხრეთ-დასავლეთით 120 კმ-ზე. ლოდი პოლონეთის მსუბუქი და ელექტრონული მრეწველობის ცენტრად ითვლება.

**კრაკოვი** – (პოლ. Kraków [ˈkrakuf]), სრული სახელწოდება: სამეფო დედაქალაქი კრაკოვი (პოლ. Królewskie Stołeczne Miasto Kraków) ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი ქალაქია პოლონეთში. 2004 წლის მონაცემებით მისი მოსახლეობა 760 000 კაცს შესაძგენს. ისტორიული ქალაქი მდებარეობს მდ. ვისლაზე, ვაველის მთის ძირას, მოლოპოლსკას რეგიონის სამხრეთით. 1999 წლიდან ის მოლოპოლსკას სავოევოდოს (województwo małopolskie) დედაქალაქია, ხოლო მანამდე, დაწყებული XIV საუკუნიდან, კრაკოვის სავოევოდოს დედაქალაქს წარმოადგენდა. კრაკოვი, ისტორიულად პოლონეთის წამყვანი სამეცნიერო, კულტურული და ხელოვნების ცენტრი იყო. ერთ დროს პოლონეთის დედაქალაქი, საკუთარი ათასწლოვანი ისტორიის წყალობით, მრავალთა მიერ დღესაც ქვეყნის გულად მიიჩნევა. ის რეგიონისა და საერთაშორისო ტურიზმის ცენტრია, წელიწადში 2 მილიონზე მეტი მნახველით. მოზირის ჯგუფი – მოზირის მეთაურობით, რუსი ჯარისკაცებისაგან შემდგარი სამხედრო შენაერთი, რომელიც 1920 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პოლონეთის წინააღმდეგ ბრძოლებში ქალაქ ვარშავასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:


- ავალიშვილი ზ. „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, თბილისი, 1990;
- გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, „ქართველები პოლონეთში“, პარიზი, 1927, № 18, გვ. 5;
- გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, „ქართული კოლონია ვარშავაში“, პარიზი, 1935, № 17, გვ. 14-15;
- რ. დაუშვილი „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში“, გამომცემლობა „რაეო“, თბილისი 2007;
- რ. დაუშვილი „ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ემიგრაციაში XX საუკუნის 20-30-იან წლებში“, ქართული დიპლომატია, ტ. 11, 2004, გვ. 206-226;
- თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში დაცული ფოტო დოკუმენტური მასალა. გურამ შარაძის პირადი ფონდი;
- ნ. მათიკაშვილი „პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი პილსუდსკი“, „მხედარი“, № 19, პარიზი, 1935;
- ა. მანველიშვილი „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“, სან-ფრანცისკო, 1984;
- ა. მანველიშვილი „რუსეთი და საქართველო“, ტ. I, პარიზი, 1951;
- Manvelichvili A. „Histoire de Géorgie“, Nouvelle éditions de la Toison d'or, Paris, 1951;
- Nippold o. „La Géorgie du point de vue du droit international“, éd du Bureau de Press Géorgien, 1920;
- პოლონეთის პრეზიდენტის ეგნატე მოსტიცსკის სიტყვა წარმოთქმული მარშალ იოსებ პილსუდსკის დაკრძალვისას, „მხედარი“, № 19, პარიზი, 1935;
- ურნალი „ახალი პოლონეთი“, 2001;
- ალ. ჩხეიძე „მარშალ ი. პილსუდსკის ცხოვრება და მოქმედება“ ურნალი „მხედარი“, № 19, პარიზი, 1935;
- ნ. ჯავახიშვილი „ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ“, თბილისი 1998.
- ქავთარაძე იან (ვანო) (ემიგრანტი ქართველი ისტორიკოსი), „საქართველოს ისტორია“, გამ. ვარშავის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ვარშავა, 1929 (პოლონურ ენაზე), რედაქტორი, პროფ. მარტელი ჰანდელსმანი. საინტერესოა წიგნის ავტორისეული მიძღვნა: „ისტორიის წიგნს უბედური ერისა, რომლის შვილებმაც თავიანთი სამშობლოს ტრაგედიის წლებში თავშესაფარი ჰპოვეს პოლონეთის მიწაზე, ვუძღვნი პოლონელ ხალხს; ჩემს ნაშრომს მივართმევ ამ ქვეყნის პირველ მარშალს – იოსებ პილსუდსკის, როგორც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოს“.

- Советская историческая энциклопедия, т.14 – М.; Советская энциклопедия, 1973.
- Соколов Б. В. Михаил Тухачевский: жизнь и смерть «Красного маршала», Смоленск: Русич, 1999.
- Тухачевский М. Н. Избранные произведения в 2-х томах – М.; Воениздат, 1964 г., т.1, Предисловие Маршала Советского Союза С. С. Бирюзова.
- Черушев Н. С. 1937 год: Элита Красной армии на галгофе. – М.; Изд-во «Вече», 2003.
- Гуль Р. Б. Красные маршалы: Тухачевский, Ворошилов, Блюхер, Котовский. – М.; Молодая гвардия, 1990.


საბრძოლო მოქმედებათა რუკები:




რუკა №1




რუკა №2




რუკა №3



რუკა №4



რუკა №5



რუკა №6



პოლონეთის პირველი მარშალი იოსებ პილსუდსკი



კომენდანტი იოსებ პილსუდსკი



პოლონეთის პრეზიდენტი ეგნატე მოსტიცკი



პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალი რიდზ-სმიგლი